ქუბურხინჯში რომ ვიყავით A2

ქუთათურთა საარჩევნო ხმებს პარლამენტში გადაითვლიან A2

კანცელარია და მერია უკანონო მშენებლობების შემკვეთები და აღმასრულებლები არიან A3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 6 აგვისტო, 2002 წელი. №65

ფასი 50 თეთრი

სასამართლომ თბილისი რამდენიმე თვით უვადოდ დატოვა

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ უზენაესმა სასამართლომ მორიგ პოლიტიკურ სკანდალს (თუ ფარსს) დაუდო საფუძველი. საქმე ის არის, რომ სასამართლო კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა "სახალხო" და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების სარჩელები და ცესკოს მიერ დამტკიცებული თბილისის საკრებულოს შედეგების ოქმი უკანონოდ ცნო. ამის გარდა, მან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ახალი შემავჯემებელი ოქმის დამტკიცება დაავალა. ეს ბიულეტენების ხელახალი გადათვლის შემდეგ მოხდება. ერთი სიტყვით, სულაც არ არის გამორიცხული, თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოში სულ სხვა შემადგენლობა მოხვდეს. ეს კი ნიშნავს, რომ თბილისის საკრებულოს ირგვლივ ვითარება კვლავ იძაბება. "ლეიბორისტებისა" და "ნაციონალების" გამარჯვება უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. გუშინდელი გადაწყვეტილება ახალ პოლიტიკურ ომს უდებს საფუძველს და დედაქალაქს რამდენიმე თვით საკრებულოს გარეშე ტოვებს.

რაც შეეხება თავად სასამართლოს: გუშინდელი სხდომა საკმაოდ დრამატულად წარიმართა და იგი სულ მალე პოლიტიკურ პროცესში გადაიზარდა. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს (პარტია პროცესში მესამე მხარედ იყო წარმოდგენილი) მოგვიანებით თავად მიხეილ სააკაშვილიც შეუერთდა. მოწინააღმდეგე ბანაკს კი მამუკა გიორგაძე თავკაცობდა. მიხეილ სააკაშვილის დარბაზში გამოჩენამ საკმაოდ ოპტიმისტურად განაწყო "სახალხოელები". პაატა კიკვაძემ "24 საათს"

გაგრძელება A2 გვერდზე

მოღერებული მუშტების ეპოქა ბრუნდება? ლევან ხერხეულიძის ფოტო

საქართველომ რუსეთის "რევერანსი" დაიმსახურა

თამარ ხორბალაძე

საქართველომ ბოლო დღეებში გაახშირა ჩეჩენ საზღვრის დამრღვევთა დაპატიმრება, რაც, რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობის ფონზე, სიტუაციის განმუხტვის წინაპირობად შეიძლება მოგვევლინოს. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა ვლადიმირ პუტინის განცხადება, რომელმაც, ქართველი მწყემსის დაჯილდოების შემდეგ, გუშინ მადლობა საქართველოს ძალოვნებს და ხელისუფლებას გადაუხადა.

ამ გამოსვლას შაბათ-კვირას და გუშინაც წინ უძღოდა რუსეთის დუმას თავმჯდომარის, სერგეი მირონოვისა და დუმას საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის, მარგელოვის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ დროა, რუსეთმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიმართოს პანკისის ხეობაში საერთაშორისო შეიარაღებული ძალების გამოყენების საკითხის განსახილველად.

ცხადია, რომ რუს პოლიტიკოსებს ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც საქართველოს კონფლიქტურ ზონებში, საერთაშორისო მანდატიანი რუსული ჯარები ჰყავდათ მხედველობაში.

სავარაუდოდ, სწორედ ამ მომენტის გათვალისწინებით, გუშინ ამ თემის კომენტირებისას, საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პანკისში წესრიგს საქართველო ყოველგვარი საერთაშორისო ძალების დახმარების გარეშეც დაამყარებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ქართველი მესაზღვრეები ჩეჩენ ბოევიკთა ახალ ჯგუფს ელოდებიან

გუშინ, თბილისში ჩეჩენთა მორიგი 7-კაციანი ჯგუფი ჩამოიყვანეს. უშიშროების სამინისტროს იზოლატორში შეყვანილ ჩეჩენ მებრძოლებს საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში, საბრძოლო მასალის და იარაღის უკანონო შენახვასა და ტარებაში დასდეს ბრალი.

ბოევიკები იუკერიგოს უღელტეხილთან, საქართველოს სასაზღვრო საგუშაგო "გირევთან," ქართველმა მესაზღვრეებმა დააკავეს. გუშინვე უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თანაშრომლებმა დაკავებული ჩეჩნები დაკითხეს. ბრალდებულთა განცხადებით, ისინი იუკერიგოს უღელტეხილთან, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, ითუმ-ყალეს რაიონში გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ. ჩეჩენ ბოევიკთა თქმით, საქართველოს მიმართულებით ისინი რუსმა მესაზღვრეებმა გამოდევნეს.

დაკავებულ ჩეჩენთა შორის იყო ქართველი მწყემსი, რომელიც უშიშროების იზოლატორში დაკითხვისა და იდენტიფიცირების შემდეგ, გუშინ საღამოს გაათავისუფლეს.

უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის, ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, ჩატარდა დაკავებულ ჩეჩენ მებრძოლთა იდენტიფიკაცია, ისინი რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების მიერ ტერორიზმში ეჭვმიტანილებად არ არიან გამოცხადებულნი. რუსეთის პროკურატურას

გაგრძელება A2 გვერდზე

მე-12 წელი ყველაზე ხანგრძლივი რექტორობის ხანიდან

დალი კუპრავა
ეთერ მამულაშვილი

გავხდი თუ არა სტუდენტი?

"ხუთი წლის შემდეგ, ძლივს გავხდი უნივერსიტეტის სტუდენტი, ახლა ამბობენ, რომ მისაღები გამოცდების შედეგები შეიძლება გაბათილდეს და ხელმეორედ ჩაგვაბარებინონ ყველა საგანიო", - გაბრაზებულია იურიდიული ფაკულტეტის ახლადგამომცხვარი პირველკურსელი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები დასრულდა და ჩარიცხულთა სიებიც გამოკრულია, ახალი სტუდენტები ქალაქიდან გასვლას და მშვიდად დასვენებას ვერ ბედავენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

თბილისი	31
ქუთაისი	28
ბათუმი	25
სოხუმი	26
ფოთი	26
თელავი	31
ზუგდიდი	28
გორი	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1900
ევრო	2.1495
გირვანქა სტერლინგი	3.4243
რუბლი	0.0694

სახელმწიფოებრივი სტრატეგიის მიღმა დარჩენილი სტრატეგიული დარგი

"ტელენორი" და საქართველოს მთავრობა "სელფორდთან" ნაცნობობას ერთხმად უარყოფენ

გვანცა კვინიკაძე

საქართველოს ტელეკომუნიკაციის სფეროს უმთავრეს ობიექტში, "საქართველოს ელექტროკავშირში" (სეკ), მართვის უფლებით რომ გაურკვეველი წარმოშობის ოფშორული კომპანია "სელფორდ კონტინენტალის" შესვლისთვის საფუძველი მზადდება, ხელისუფლებისთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ქონების მართვისა და ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მინისტრები, რომლებმაც კარგად უწყიან, თუ ვინ დგას "სელფორდის" უკან, გუშინ კარგა ხანს იკავებდნენ თავს კომენტარებისგან. უფრო მეტიც, სახელმწიფო მინისტრმა გუშინვე გამართულ თათბირზე მოადგილეებს "24 საათის" ინფორმაციის გადამოწმება და, რაც მთავარია, კონფიდენციალური სახელმწიფოებრივი მონაცემების პრესაში გაჟონვის თავიდან აცილებაზე სერიოზული კონტროლის დაწესება მოსთხოვა. დღის ბოლოს კი, სოლომონ პავლიაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ "ელექტროკავშირის", როგორც მომგებიანი საწარმოს პრივატიზებაზე ან მართვის უფლებით ინვესტორისთვის გადაცემაზე, იგი თანხმობას აღარ მისცემს.

ზემოხსენებულ გასაიდუმლოებულ კონტრაქტში, "ელექტროკავშირის" მართვის ხელშეკრულების (რომლის გაფორმებაც 10 აგვისტოსთვის იგეგმებოდა) ობიექტებად "ტელენორი" და "სელფორდია" დასახელებული, თუმცა დაკონკრეტებული არ არის, უშუალოდ რომელ მათგანთან გაფორმდება ეს ხელშეკრულება, ე.ი. ნორვეგიულ და ოფშორულ კომპანიებს "ელექტროკავშირში" მართვის უფლებით შესასვლელად ერთნაირი შანსები აქვთ.

სეკ-ი, რომელიც ისედაც მონოპოლისტი იყო და არის შიდა ბაზარზე (მას ბაზრის, დაახლოებით, 70 პროცენტი ეკუთვნის), საპრივატიზაციოდ განსაკუთრებით "დახუნძლეს" სხვადასხვა სახის ლიცენზიებით, რათა ინვესტორისთვის უფრო მიმზიდველი გამხდარიყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

"ყალბი" ლარები მიმოქცევაში

გიორგი კალანდაძე

გუშინ ეროვნულმა ბანკმა განახლებული დიზაინის ლარები გაუშვა მიმოქცევაში. ქართულ ბანკებს უკვე გადაეცათ ერთი, ორი, ხუთი, ათი და ოცლარიანი ბანკნოტები. ახალი ფულადი ნიშნების მიმოქცევაში გასვლას წინ უძღოდა ფართო სარეკლამო კამპანია. თუმცა, ეროვნულ ბანკში მხოლოდ მიმოქცევაში გასვლის დღეს აღმოაჩინეს, რომ ხუთლარიანზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი, რატომღაც, მიხეილ ჯავახიშვილად იყო მონათლული. ეროვნულმა ბანკმა გუშინ მიმოქცევაში გაშვებამდე რამდენიმე საათში ხუთლარიანების თითქმის მთელი პარტიის მიმოქცევა შესაშური ოპერატიულობით აღკვეთა.

ეროვნულ ბანკში არ აკეთებენ კომენტარს იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ხუთლარიანებზე ორი ისტორიული მოღვაწის სახელების არევა. რამდენადაც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, თითოეულ კუპიურას სპეციალური სამთავრობო კომისია დიდი ხნის განმავლობაში ყურადღებით სწავლობდა. ამასთან, სანამ ბანკნოტების პირველი პარტია დაიბეჭდებოდა, თბილისში ჩამოიტანეს საცდელი ნიმუშები, რომელთაც სპეციალისტთა საკმაოდ ფართო ჯგუფი გაეცნო. გარდა ამისა, ფულადი ნიშნების მიმოქცევაში გასვლამდე ორი კვირით ადრე ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე ათასი ბუკლეტი და პლაკატი დაბეჭდა, რომელზეც ახალი ბანკნოტების დამცავი ნიშნების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოათავსა. ამ სარეკლამო პროდუქციაზე ნათლად ჩანს "კორექტურული" შეცდომა.

აქამდე ლარის ყველა ნომინალს მსხვილი ფრანგული კომპანია "ფრანსუა შარლ ობერტიური" ბეჭდავდა. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, ლარის სხვადასხვა ნომინალებს რამდენიმე კომპანია დაამზადებს.

"ბანკის საბჭოს მიაჩნია, რომ მხოლოდ ერთ მიმწოდებელზე დაყრდნობა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამდენად, ჩვენ გამოვაცხადეთ ტენდერი და ერთი, ორი, ხუთი, ათი და ოცლარიანი ბანკნოტების დაბეჭდვა ორ კომპანიას მივანდეთ. შედარებით

გაგრძელება A3 გვერდზე

შეცდომა ხუთლარიანის ახალ ბანკნოტზე

მოსკოვში ამტკიცებენ, რომ ერაყში სამომარი მოქმედებების დაწყებას პირდაპირი კავშირი ექნება პანკისის მოვლენებთან

რუსიკო ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

მაგადანში მყოფმა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის სპიკერმა სერგეი მირონოვმა თავისი მეორე სენსაციური განცხადება გააკეთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერტორიების პრევენციულ დაბომბვებზე.

"რუსეთს შეუძლია პრევენციული დარტყმები მიაყენოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჩეჩენ ტერორისტთა ბაზებს. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართულ მხარეს ამ პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად არ შეუძლია. ისინი "მამაო ჩვენოსავით"იმეორებენ, რომ არავის არ დაუშვებენ და ყველაფერს თვითონ აკონტროლებენ. სინამდვილეში არაფერსაც არა აკონტროლებენ. საშიშს ვერაფერს ვხედავ ისრაელის გამოცდილებაში, რომელიც არ დაელოდა უბედურების თავზე დატეხვას და პრევენციული დარტყმები განახორციელა. როდესაც ზუსტად იცი ტერორისტთა ადგილმდებარეობა, პრინციპში, ასეთი მიდგომის გამორიცხვა არ შეიძლება," - აცხადებს ფედერაციათა საბჭოს თავმჯდომარე.

გაგრძელება A4 გვერდზე

ერაყი - ტერორიზმთან ბრძოლის მორიგი სამიზნე

დავით აფრასიძე
ჰამბურგის მშვიდობისა და უსაფრთხოების ინსტიტუტი
სპეციალურად „24 საათისათვის„

უკვე დიდი ხანია, რაც საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მორიგ სამიზნედ ერაყს ასახელებენ. 11 სექტემბრის შემდეგ დიქტატორ სადამ ჰუსეინის რეჟიმი არაერთხელ დაუკავშირეს საერთაშორისო ტერორიზმს. მსოფლიო თანამეგობრობის სერიოზულ შეშოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სადამ ჰუსეინი, შპიონაჟის მოტივით, უარს ამბობს გაეროს ინსპექტორებთან თანამშრომლობაზე. 1991 წელს, სპარსეთის ყურის კრიზისის დასრულების შემდეგ, ამ ინსპექტორებს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის მოსპობა და მისი წარმოების შეწყვეტა უნდა გაეკონტროლებინათ. 1998 წლის დეკემბერში ერაყიდან მათი გაძევება კი ბადებს ეჭვს, რომ ბაღდადი ისევ განაგრძობს საკუთარ ქიმიურ, ბიოლოგიურ და ბირთვულ პროგრამებზე მუშაობას. ზოგი ექსპერტის აზრით, ერაყს ატომური ბომბის შექმნამდე სულ ცოტაღა უკლია. ამერიკელები ირწმუნებიან, რომ სადამ ჰუსეინმა ეს ტექნოლოგიები, შეიძლება, საერთაშორისო ტერორისტებს გადასცეს და მაშინ 11 სექტემბრის მსგავსი ტრაგედია წარმოუდგენელი შედეგებით დასრულდება. შეერთებულ შტატებში ერაყს ავღანეთის გვერდით აყენებენ და სადამ ჰუსეინის სამხედრო ინტერვენციის გზით დამხობაზე მსჯელობენ. ამგვარი იდეის მომხრეები ამბობენ, რომ უმცროსმა ჯორჯ ბუშმა უნდა გამოასწოროს მამის შეცდომა, როცა მან, სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, ჰუსეინი ხელისუფლებაში დატოვა. უფრო ზომიერი აღმოჩნდა ამერიკის სენატის საერთაშორისო კომიტეტის მოსმენები. მიწვეულ ექსპერტთა უმრავლესობამ პრეზიდენტ ბუშს სიფრთხილისკენ მოუწოდა. სენატის კომიტეტის მოსმენებზე, ძირითადად, ხუთ საკითხზე გამახვილდა ყურადღება: რა საფრთხე მოდის ერაყიდან; წინააღმდეგობის გაწევის რა უნარი აქვს ბაღდადს; როგორი იქნება რეგიონის ქვეყნების რეაქცია ომის შემთხვევაში; რა დაჯდება ეს ომი და როგორია ომის შემდგომი სტაბილიზაციის გეგმები. ეს თემები ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროზეც ადარდებთ. ამერიკის ევროპელ მოკავშირეებს პრობლემის საკუთარი ხედვა აქვთ.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A4 უცხოეთი

B1 სტილი B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

ქუთათურთა საარჩევნო ხმებს პარლამენტში გადაითვლიან

გიორგი ასანიშვილი

ქუთაისის საკრებულოსა და გამგებლის არჩევნების შედეგები, შეიძლება, ეჭვის ქვეშ დადგეს. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხს ნათელი საბოლოოდ მხოლოდ მას შემდეგ მოეფინება, როდესაც პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია (თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილი) ბიულეტენებს გადაამოწმებს და შესაბამის ვერდიქტს გამოიტანს. წესით, ეს პროცედურა ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ მან ეს "პატივი" დეპუტატებს გადაულოცა.

ქუთათურთა საარჩევნო ხმების გადათვლის საკმაოდ ხანგრძლივი და მომქანცველი პროცესი პარლამენტის შენობაში დღეს დილით დაიწყება. იგი საჯარო იქნება და მისი ზედამხედველობის შესაძლებლობა მიეცემათ ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საკითხით დაინტერესებულ მხარეებს.

იმ კონკრეტული დარღვევების დაფიქსირებისგან, რომელმაც ბიულეტენების გადამოწმების აუცილებლობა წარმოშვა, საპარლამენტო კომისიის წევრები, ჯერჯერობით, თავს იკავებენ და მხოლოდ იმას დასძენენ, რომ ძირითადად იმ საარჩევნო უბნების ბიულეტენები გადაითვლება, სადაც ყველაზე მეტი დარღვევა დაფიქსირდა და საიდანაც საჩივრები შემოვიდა. დოკუმენტაცია ცესკოდან პარლამენტში უკვე გადატანილია და მას სამთავრობო დაცვა იცავს.

ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, მას გადაწყვეტილი აქვს, პარლამენტის წინაშე დააყენოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხი, რომელიც დაავალდებულებს ცესკოს, საარჩევნო დოკუმენტაცია და ინვენტარი გარკვეული დროის განმავლობაში შეინახოს. დეპუტატი ამ ნაბიჯამდე მიიყვანა დღევანდელმა სავალალო მდგომარეობამ, როდესაც სიყალბის გამოსავლენად აუცილებელი ბევრი მნიშვნელოვანი საბუთი უკვე განადგურებულია.

"როდესაც ეცოდინებათ, რომ დოკუმენტაცია შენახულია და სიყალბე მომავალში მაინც გამოვლინდება, ფალსიფიკატორები, გარკვეულწილად მაინც, თავს შეიკავებენ", - დასძენს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე.

სამართალი

ქართველი მესაზღვრეები ჩეჩენ ბოევიკთა ახალ ჯგუფს ელოდებიან

პირველი გვერდიდან

დაკავებულთა ექსტრადიციის თაობაზე ქართველი კოლეგებისთვის, ჯერჯერობით, ოფიციალური მოთხოვნა არ გამოუგზავნია.

"ჩეჩენ მებრძოლთა რუსეთში ექსტრადიციის საკითხი საეჭვოა. მათ საქართველოს ტერიტორიაზე დაარღვიეს ქართული კანონმდებლობა და პასუხი უნდა აგონ ჩვენი კანონის შესაბამისად," – აცხადებს ნიკა ლალიაშვილი.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმებმა და ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს საზღვრებზე მკაცრი კონტროლი დააწესეს. ქართველი მესაზღვრეები ჩეჩენ ბოევიკთა 15-კაციან ჯგუფს ელოდებიან. არსებული ინფორმაციით, ჩეჩენთა რაზმი საქართველოს საზღვრის სიახლოვეს გუშინ საღამოს შეამჩნიეს. მოსალოდნელია, რომ უშიშროების იზოლატორში დღეს ჩეჩენთა ახალი შევსება შევიდეს.

დღეს ვაკე-საბურთალოს სასამართლო დაკავებულ ჩეჩენ ბოევიკთა პირველი ჯგუფის წევრებს, რომლებიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადიან მკურნალობის კურსს, სავარაუდოდ, სამთვიან პატიმრობას შეუფარდებს.

ყაჩაღებმა მოკლეს

ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმა მკვლელობით დასრულდა. შეიარაღებული ბოროტმოქმედები მალხაზ დვალის ოჯახს თავს ღამით დაესხნენ და იარაღის მუქარით ოჯახის წევრებს ფულისა და ძვირფასეულობის გამოტანას სთხოვდნენ. ოჯახის წევრების მიერ გაწეულ წინააღმდეგობას ყაჩაღების მხრიდან სროლა მოჰყვა, რომლის დროსაც მუცელში დაიჭრა მალხაზ დვალის რძალი. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ყაჩაღობის ფაქტს ზესტაფონის რაიონის პროკურატურა იძიებს.

ყაჩაღური თავდასხმა წალკაში

წალკის რაიონის სოფელ ბაიბუთში მცხოვრებ 70 წლის ბორის მალანგელოვის ოჯახს სახლში ორი ავტომატითა და სანადირო თოფით შეიარაღებული ექვსი ბოროტმოქმედი შეუცვივდა.

შინ მხოლოდ ოჯახის დიასახლისი იმყოფებოდა. ყაჩაღებმა ხანდაზმული ქალბატონი დააბეს და სახლიდან გაიტაცეს 4200 ლარი, 2000 აშშ დოლარი და ოქროს ნივთები. ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. თუმცა, პოლიციამ მალევე შეძლო მათი დაკავება. ყაჩაღები აღმოჩნდნენ ადგილობრივი სვანები. 19 წლის გონელი კვანჭიანმა, გიორგი გასვიანმა და 31 წლის ენეკერ სიდიანმა თანამონაწილეობად გოგი საღლიანი, კობა ცინდელიანი და ვინმე „ჟორჟიკა“ დაასახელეს. სამივე მათგანი დღემდე იძებნება.

გამოძიებას წალკის შს განყოფილების საგამოძიებო ჯგუფი აწარმოებს.

ბანკს ატყუებდა

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისელი მედეა ნათაძე საბანკო ხელშეკრულების დარღვევაში ამხილეს. მან მიკროსაფინანსო ბანკიდან გამოტანილი კრედიტის -- 2000 დოლარის სანაცვლოდ, გარანტად ჩადო კუთვნილი მიკროავტობუსი „მერსედეს-ბენცი“. მანქანას ბანკმა, წესისამებრ, ყადაღა დაადო. ნათაძე კი ადგა და მანქანა 3400 დოლარად მიჰყიდა ვინმე შუშიაშვილს. მოგვიანებით ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი“ბანკს დაუბრუნდა, ნათაძის მიმართ კი თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

კუს ტბაზე სეირნობა უსაფრთხო არ არის

კუს ტბაზე, სადაც ზაფხულის განმავლობაში ლამის მთელი თბილისი იკრიბება, არც ისე იშვიათად აქვს ადგილი ექსცესებს. გუშინაც თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციამ დააკავა 22 წლის თბილისელი ირაკლი გავაშელი, რომელმაც კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარაკებისას დანით ზურგსა და ფეხში დაჭრა 43 წლის ალექსანდრე მაჭარაშვილი. გავაშელის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამსახური იძიებს.

ახალი დასაკავებელი გადასახადებისგან განთავისუფლება

საბანკო ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერის ახალი ვრაქტიკის უკანონობა

სხვა გადასახადებისგან განთავისუფლება

იურისტი **სანდრო ამაშუკელი**

☎ 893-37-19-90

სასამართლომ თბილისი რამდენიმე თვით უპატრონოდ დატოვა

პირველი გვერდიდან

განუცხადა: **"სააკაშვილის მოსვლამ დაგვანახა, რომ პროცესს ვიგებდით"**

თავად მიხეილ სააკაშილმა სასამართლო კოლეგიას საკმაოდ მოკლე სიტყვით მიმართა:

"პირველად ვიღებ მონაწილეობას სასამართლო პროცესში და ძალიან ვღელავ. აქ მოვედი, რათა დავიცვა ასობით ათასობით ამომრჩეველთა ინტერესი. ეს არ არის მხოლოდ იურიდიული საკითხი. ეს პოლიტიკური საკითხიცაა. ჩვენ ახლა წყალგამყოფის წინაშე ვდგავართ. იმ წყალგამყოფის წინაშე, რომელიც ერთმანეთისგან აცალკევებს წესიერებას უზნეობისაგან, პატიოსნებას – კორუფციისაგან. მე არ მინდა, ჩვენი ქვეყანა იუგოსლავიის მოდელით განვითარდეს... იურიდიულ საკითხებზე დავა არ ღირს, რადგან "ნაციონალურ მოძრაობაში" გვყავს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო იურისტები და მათ შესანიშნავად იციან, რომ იურიდიულად მართლები ვართ. ამ მხრივ სადავო არაფერია. დღეს უკვე ნათელია, ვინ აპირებს არჩევნების გაუქმებას. ჩვენი გამარჯვება ხელისუფლებას ყელში ძვალივით აქვს გაჩხერილი," - ამ განცხადების შედეგ მან დარბაზი დატოვა. შემდგომ კი დემოკრატიისა და ამომრჩეველთა ბედზე წუხილი უკვე "სახალხოელთა" ლიდერმა, მამუკა გიორგაძემ გააგრძელა, რომელმაც მოსამართლეებს **"ერთადერთი სამართლიანი გადაწყვეტილების"** მიღებისაკენ მოუწოდა.

2 ივნისიდან მოყოლებული, ასეთი ბუნდოვანი ვითარება თბილისის საკრებულოს ირგვლივ აშკარად არ შექმნილა. წინა და ახალი მოწვევის საკრებულოები, ფაქტობრივად, უკანონოდ ცნეს – პირველი იუსტიციის სამინისტრომ, მეორე კი - უზენაესმა სასამართლომ. როგორც "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა, ვანო მერაბიშვილმა "24 საათს" განუცხადა, **ისინი სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებას შეებრძოლებიან, რადგან ხელისუფლების დაკვეთით მოქმედმა სასამართლო კოლეგიამ დროის გაწელვის პოლიტიკა აირჩია და თბილისი საკრებულოს გარეშე დატოვა** (საგულიხმოა ისიც, რომ თავის ხანმოკლე გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმა მოსამართლეებს ისიც შეახსენა, რომ მან თბილისში შექმნილი ვითარების შესახებ უკვე მოახსენა საერთაშორისო ორგანიზაციებს).

"ნაციონალური მოძრაობა" დღეიდან ახალი საპროტესტო ტალღის აგორებას აპირებს. დღესვე ცნობილი გახდება პოლიტიკოსების რეაქციის შესახებ. ყველაზე მძიმე დღე კი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაადგება, ვინაიდან პოლიტიკური პროცესების მთელი სიმძიმე ახლა სწორედ ფუთებში მოთავსებულ ბიულეტენებზეა გადატანილი.

აბაშიძემ გეგმები ნადარეიშვილსაც უნდა გააცნოს - ბრძანებს პრეზიდენტი

სოფო ბუკია

აჭარის წარმომადგენლობაში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეები იმთავითვე პესიმიზმს კი უჩიოდნენ, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს, პრეზიდენტ შევარდნაძეს მიმართვა გაუგზავნონ და ხელისუფლების შენარჩუნებისთვის დაწყებული კრიმინალურ-ტერორისტული პოლიტიკის შეწყვეტა მოსთხოვონ. ეპისტოლეში, რომელიც შევარდნაძეს გაეგზავნება, ავტორები პრეზიდენტს სთხოვენ, ყური არ ათხოვოს ომისა და ტერორიზმის წამქეზებლებს, შეწყვიტოს ურთიერთდაპირისპირების პოლიტიკა და არ ჩამოაცილოს ქვეყანა დემოკრატიულ პროცესებს.

"ხელისუფლებამ ბოდიში უნდა მოუხადოს ქართველ და აფხაზ ხალხს". იური ლეონიძის ფოტო

მიმართვის ავტორები პრეზიდენტს იმასაც ეკითხებიან, რამდენად თანაუგრძნობს იგი თამაზ ნადარეიშვილის ინიციატივას და აპირებს თუ არა, უჩექმოდ დარჩენილი მშიერი ჯარისკაცების იმედად, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებას. გუშინდელი შეხვედრის მონაწილეები ეჭვობენ, რომ ნადარეიშვილთან დაკავშირებით პრეზიდენტის ნეიტრალური პოზიცია ამართლებს ყველასათვის ნაცნობ გამოთქმას - "დუმილი თანხმობის ნიშანიაო".

მშვიდობიან მოლაპარაკებებსა და ასლან აბაშიძეს, პარლამენტის წევრის, ჰამლეტ ჭიპაშვილის განმარტებით, სწორედ ომის წამქეზებლები უშლიან ხელს. **"მშვიდობიანი მოლაპარაკებებისას აფხაზური მხარე გვეტყვის, თქვენ გყავთ აფხაზეთის ხელისუფლება თბილისში, რუსთაველის გამზირზე და მას ელაპარაკეთო. თუ ჩვენ გაუჩერებლად ვამტკიცეთ, რომ ისინი სეპარატისტები არიან, გამუდმებით ვადანაშაულეთ გენოციდის მოწყობაში, რა თქმა უნდა, მოლაპარაკებები უშედეგო იქნება,"** - აცხადებს ჭიპაშვილი.

ომის დაწყება, მისი აზრით, დღეს იმათ აძლევთ ხელს, ვის კისერზეც თავის დროზე წაგებული ომი და აფხაზეთის დაკარგვა ჰკიდია. **"დღეს ომი მხოლოდ ნადარეიშვილს, შევარდნაძესა და პარტიზნებს აწყობთ,"** - აცხადებდა გუშინ ჭიპაშვილი და თან დასძენდა, რომ ჯერ პრეზიდენტმა წაგებულ ომზე უნდა აგოს პასუხი და მერე იფიქროს ახალზე. **"ვინც დაიწყო ომი აფხაზეთში, იმან ჯერ უნდა აღიაროს ეს. საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ ბოდიში უნდა მოუხადოს ქართველ და აფხაზ ხალხს,"** - ამბობს ჭიპაშვილი. ამავე პოზიციას იზიარებს არასამთავრობო ორგანიზაციის - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე, რომელიც ყველა დღევანდელი უბედურების სათავედ დაუსჯელობის ფაქტორს მიიჩნევს. ომში დამარცხებისთვის ხელისუფლებას პასუხი არ უგია, პირიქით, ჯილდოებიც კი დაარიგა. ასეთ ხელისუფლებას კი, ნანა კაკაბაძის აზრით, არა აქვს მორალური უფლება, ომზე ილაპარაკოს.

იმ დროს, როცა აჭარის წარმომადგენლობაში ხელისუფლების მორალურ უფლებებზე საუბრობდნენ, მიმართვის ტექსტს ახმოვანებდნენ და ნადარეიშვილსა და მის მთავრობას ომის პროპაგანდაში ადანაშაულებდნენ, თავად ქვეყნის პირველი პირი ტრადიციულ ბრიფინგზე ასლან აბაშიძეს ახსენებდა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ როდესაც აბაშიძეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სადაგეები ანდო, თავადაც კარგად უწყოდა, აჭარის ხელისუფალი ამ პრობლემას რამდენიმე თვეში რომ ვერ მოაგვარებდა. ოღონდ, პრეზიდენტის აზრით, აბაშიძემ უფრო ღიად უნდა იმოქმედოს, საკუთარი გეგმები მოსახლეობასაც უნდა გააგებინოს და ნადარეიშვილსაც შეატყობინოს.

საქართველომ რუსეთის "რევერანსი" დაიმსახურა

პირველი გვერდიდან

ედუარდ შევარდნაძემ არ დააზუსტა არც ამ ღონისძიებათა სახე და არც დაწყების თარიღი, თუმცა, დარწმუნებით განაცხადა, რომ რუსეთს ეყოფა გონიერება, არ მიმართოს გაერო-ს საერთაშორისო მანდატის მისაღებად, რადგან ამას უშიშროების საბჭოც არ დაუშვებს. ამასთან, აღნიშნა, რომ პრობლემა თვე-თვენახევარში იქნება მოგვარებული.

ამ ბოლო დროს საქართველოს საზღვრის გახშირებულ დარღვევებთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ პროვოკაცია ჩაფიქრებული ჯერ კიდევ მაშინ გახლდათ, როცა საქართველოს ტერიტორიაზე 7500 ჩეჩენი გადმორეკეს, საომარი მოქმედებების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანის იმედით. **"მაშინ ეს არ გამოვიდა და ეს არ გამოვა არც დღეს,"** - აცხადებს ედუარდ შევარდნაძე და სპეციალურად ამერიკელი ჟურნალისტებისთვის განმარტავს, რომ საქართველო იძულებული იყო, მიეღო ეს ხალხი, რადგან მათი შეკავების არც ძალა გააჩნდა და არც მორალური უფლება.

საინტერესოა, რომ რუსეთის მხრიდან გახშირებული დაბომბვებისა და გაძლიერებული საინფორმაციო და საერთაშორისო ზეწოლის ფონზე, საქართველოს ხელისუფლება დღეს უკვე აქტიურად აპატიმრებს საზღვრის დამრღვევებს. მეტიც - მზადყოფნას გამოთქვამს, გადასცეს ისინი რუსეთის მხარეს, თუ რუსეთის პროკურატურა სათანადო მასალების მოწოდებას შეძლებს. რუსეთის ხელისუფლებამ, პროკურატურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სახით, უკვე გამოთქვა სურვილი, უშუალო მონაწილეობა მიიღოს დაკავებულების საქმის ძიებაში.

ტენდენცია, რომელიც ბოლო დღეებში ამ მიმართულებით დაფიქსირდა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გარდატეხის არა, მაგრამ გარკვეული წინსვლის საფუძვლად, შესაძლოა, მაინც იქცეს. თუმცა, ჯერჯერობით, საქართველო-რუსეთის ჩარჩოხელშეკრულების ირგვლივ მოლაპარაკებები, რომელიც გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ისევ გაიხსენა, ჩიხშია შესული. ისევ გადაიდო, ქართველ და რუს სამხედრო ექსპერტებს შორის 6 აგვისტოსთვის დანიშნული მოლაპარაკებები, სამხედრო ბაზების გატანასთან დაკავშირებით

ცალკე საკითხია საქართველოს გააქტიურებისადმი ჩეჩნური მხარის მიდგომა, რაც, პანკისის რეგიონში შედარებითი სტაბილურობის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი გახლავთ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ლოიალური დამოკიდებულება, რომელიც "აგრესორი რუსებისადმი" შეურიგებელ ჩეჩნურ ინტერნეტ-საიტებზე საქართველოს მიერ განხორციელებული დაკავებების ფაქტებისადმი ფიქსირდება. ამ საიტებზე ჩეჩნური მხარე შემთხვევითს უწოდებს საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი მებრძოლების გადასვლას. ასევე, აქვეყნებს "დეტალურ ინფორმაციას" რუსეთის მხრიდან პანკისის ხეობაში დაგეგმილი სპეცოპერაციის ხელმძღვანელებისა და "დარტყმის უშუალო ადრესატი ქართული ტერიტორიების" შესახებ.

ჭუბურხინჯში რომ ვიყავით

ზაზა ფაჩუაშვილი

გუშინ ვწერდით ჭუბურხინჯში გამართული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების შესახებ.

ჭუბურხინჯის მოსალაპარაკებელი პუნქტი რუსების სამშვიდობო ძალების 301-ე პოსტზე მდებარეობს და ბადის ტიპის სამხედრო მასხალათით არის დაბურული. მაღლობზე შემდგარი პოსტიდან კარგად მოჩანს მთელი ენგურის ხიდი და მასზე მიმომავალი უპატრონო ქართველები. მოლაპარაკების დროს მონაწილეებს, სურვილის შეთხვევაში, საშუალება აქვთ, თვალი ადევნონ მთელ ამ შავ მასას, მაგრამ ისიც შეუძლიათ, რომ ბადეში ჭვრეტით თვალები არ იტკინონ და ხალხის ბედ-იღბალზე ისე იმსჯელონ.

გალისკენ თუ მიდიხარ, რუსების შლაგბაუმქვეშაც უნდა გაძვრე. ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ორ ცეცხლს შუა

გალისკენ თუ მიდიხარ, ჯერ ქართული პოსტი უნდა გაიარო, მერე ენგურის ხიდზე დაიღალო, რუსების შლაგბაუმქვეშაც გაძვრე, აფხაზების თუნუქის კორიდორში საბუთები წარმოადგინო და ასე მოხვდე სიცოცხლისთვის საშიშ მშობლიურ ზონაში, რომელიც რკინის დიდი ტრაფარეტით იწყება. ინგლისური, რუსული და კუდიანი ასოები იუწყებიან, რომ ეს არის აფსნის რესპუბლიკა. იქამდე მხოლოდ ფეხით და ნელი ნაბიჯით შეიძლება მისვლა, ვინაიდან რუსები უბრალო ქართველ მოკვდავთა მანქანებს არ ატარებენ. სამაგიეროდ მძიმე ტვირთის მქონე "ლიცოებს, გრუზინსკოი ნაციონალნოსტი" ერთი მედროგე პაპა და ჯაგლაგი ცხენი ემსახურება. სანამ ძუძუმწოვარა ტრანსპორტი თავიდან ბოლომდე გავა და გამოვა, მთელი საქართველოს გამოტირება შეიძლება. ამასობაში მოლაპარაკება მიმდინარეობს.

ზუგდიდისკენ თუ მოდიხარ, იგივე გზას უკუღმა გამოივლი და ჩვენს, ასევე სახიფათო მხარეს მოხვდები. დაუჯერებელი უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ამას მწვავე დანაშაულებრივი სიტუაცია განაპირობებს. სოფელ პირველი მაისის გლეხებმა სახელმწიფო მინისტრს შესჩივლეს, პროდუქცია ვერ გაგვიყიდიაო. თურმე, ადამიანს, რომელიც ფულს იშოვის და ოჯახში შეიტანს, იმ საღამოსვე აყაჩაღებენ. ხალხმა თქვა, პოლიციის უმოქმედობის მიზეზი ვიცითო და უხელფასობა დაასახელა. მიეცით პოლიციას გასამრჯელო და მოთხოვეთ წესრიგის დამყარებაო,- უთხრეს სახელმწიფო მინისტრს.

შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი სიღარიბეა. თანაც, რაც უფრო მეტად გიხმება კუჭი, მით უფრო დაცული ხარ და ამიტომაცაა, რომ ჯერ კიდევ ტოკავს ხალხი; და აზოტის სასუქს თხოულობს. სხვანაირად მოსავალი არ მოვაო, ჩივიან პირველმაისელები. პოლიციელთა ხელფასებისგან განსხვავებით, სასუქის მიღება რეალური ოცნება ყოფილა.

რა უნდოდა ჯერგენიას

ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ჯერგენიას მშვიდად ცხოვრება უნდა, რისთვისაც ავთანდილ ჯორბენაძე მორიგ შეხვედრაზე დაითანხმა და კოდორის მხრიდან უსაფრთხოების გარანტიები მოთხოვა. მან მიიღო ეს გარანტიები, თუმცა შეხვედრის შემდეგ არ დაუკონკრეტებია, რომელ საფრთხეს გულისხმობდა.

მეორე საკითხი, რაზეც ჯერგენიამ ისაუბრა, გალის და ოჩამჩირის რაიონების რეაბილიტაციაა. საქართველო, რა თქმა უნდა, მზადაა ყველა სახის დახმარებისთვის; რასაც ახლა ერთობლივ პროექტებს იმიტომ უწოდებენ, რომ ერთი მხარე (ქართული) აფინანსებს, ხოლო მეორე (აფსნი) – სარგებლობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავთანდილ ჯორბენაძის განცხადებით, განახლებულია და ჩვეულებრივ რიტმში მუშაობს მსოფლიო ბანკის ყველა პროექტი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ხსენებულ რეაბილიტაციასაც მოხმარდება. ოღონდ ერთი პირობაა – მშვიდობა.

ზუგდიდი და ფოთი

ჭუბურხინჯის შემდეგ შეხვედრები შედგა ზუგდიდისა და ფოთის განახლებული მოქკავშირის ოფისებში. პარტიის იქაურმა ლიდერებმა მოქკავშირის აღდგენა მთლიანად ჯორბენაძის სახელს დაუკავშირეს. მათი თქმით, საქმე იქამდე მისულა, რომ საჭირო გამხდარა რეკომენდატორის ინსტიტუტის შემოღება. ამიერიდან ორი გამოცდილი პარტიული მუშაკის რეკომენდაციის გარეშე პარტიაში ვერავინ შევა. რა გაეწყობა, როცა ჯორბენაძე თავმჯდომარე გამხდარა, გასული წევრებიც დაბრუნებულან და ახალი მსურველებიც გამოჩენილან.

მოქკავშირივით დიდი პერსპექტივები ჰქონია ზუგდიდის ქაღალდის კომბინატსა და ფაიფურის ქარხანას, თუმცა ამისთვის პატარა ბიძგიც ყოფილა საჭირო. მაგალითად, ქაღალდის კომბინატის დირექტორი თურქული კონტრაბანდის აღკვეთას ითხოვს. ჩვენ ბაზარზე შემოტანილი საწერი რვეულები აქ უფრო იაფი ყოფილა, ვიდრე თურქეთში.

გალის აქაურმა გამგებელმა დაფინანსება მოითხოვა, მასწავლებლები გვყავს ძალიან ცუდ დღეშიო. ერთერთ სკოლას კი პარტიის სახელით გადახურავენ.

სხვა პრობლემები ჯერჯერობით უბის წიგნაკში ჩაიწერეს.

გზები, გზები გვინდა

გზები გვინდა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ხიდები შენდება. სახელმწიფო მინისტრმა ორი ახალი ხიდის მშენებლობა მოინახული კიდეც. ერთერთი მათგანი განსაკუთრებით რთული ტექნოლოგიითაც შენდება, მაგრამ იქამდე მისასვლელი დანგრეული გზები აღტაცების სურვილს სრულიად ალაყებს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

სახელმწიფოებრივი სტრატეგიის მიღმა დარჩენილი სტრატეგიული დარგი

პირველი გვერდიდან

ამიტომ გასაგებია "ტელენორის" სურვილი, მონაწილეობა მიიღოს სეკ-ის მართვაში. თუმცა, ერთია სეკის მიმართ მსოფლიოში მსხვილი კომპანიის დაინტერესება და მეორეა ის მეთოდები, თუ როგორ ხდება ამ ინტერესის დაკმაყოფილება.

ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავრობას, ამ ეტაპზე, არ გააჩნია ერთიანი სტრატეგია არა მარტო კონკრეტულად "ელექტროკავშირის", არამედ ზოგადად საქართველოს კავშირგაბმულობის სექტორის განვითარებასთან დაკავშირებით. ამის ნათელი მაგალითია სეკ-ის საკითხი. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ საქართველოს მთავრობა გერმანული საინვესტიციო კორპორაცია "კომერცბანკის" მეშვეობით სეკ-ის თითქმის 70 მილიონ დოლარად გაყიდვას გეგმავდა. მიღებული ფულით კი პედაგოგებისთვის წლობით დაგროვილი სახელფასო დავალიანების დაფარვას აპირებდა. ტენდერის ჩაშლის შემდეგ კი, სამთავრობო კულუარებში სეკ-ის მართვაში გადასაცემად საიდუმლო მოლაპარაკებები გამართეს.

არადა, სეკ-ი საქართველოს კავშირგაბმულობის სფეროს ხერხემლად მიიჩნევა. მის მფლობელობაში შედის არა მარტო სატელეფონო სადგურები, საკაბელო და სარელეო მეურნეობა, ასევე – მაღალი საბაზრო ღირებულების შენობები, მიწისქვეშა ნაგებობები, საკანალიზაციო მაგისტრალები და სხვა. ამის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით, სეკ-ის ქსელის ანალოგის აგებას, მინიმუმ 400-500 მილიონი დოლარი და წლები დასჭირდება.

"ტელენორისგან" განსხვავებით, პრაქტიკულად არაფერია ცნობილი "სელფორდზე" (მისი ხელმძღვანელის, გიორგი ბედინეიშვილის გვარის გარდა) და იმაზე, თუ როგორ მოხვდა ეს ოფშორული კომპანია ასეთ სოლიდურ უცხოურ კომპანიასთან ერთად სეკ-ის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაში. კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის, ვახტანგ აბაშიძის აზრით, გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულება მეტად საეჭვოდ გამოიყურება, მით უმეტეს "ტელენორის" იმ პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც ნორვეგიულმა მხარემ ქართულ დელეგაციას, ჯერ კიდევ კონტრაქტის დადებამდე, ნორვეგიაში ვიზიტისას გააცნო. აბაშიძის თქმით, ნორვეგიაში "ტელენორი" ცალსახად აცხადებდა, რომ სეკ-თან მისი თანამშრომლობის დაწყების შემთხვევაში, მთელი პროცესი გამჭვირვალედ და საჯაროდ წარიმართებოდა. არადა, საიდუმლოების ხარისხი ამ გარიგების გარშემო, მართლაც მაღალია. გარდა იმისა, რომ თავად ხელშეკრულება ავალდებულებს მხარეებს გარკვეული მასალების განადგურებას, საეჭვოა "ელექტროკავშირის" ახლა უკვე ყოფილი გენერალური დირექტორის, თემურ ბუცხრიკიძის საქციელიც. იგი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამსახურში აღარ გამოჩენილა, ორიოდე დღის წინ კი პოსტი დატოვა. ბუცხრიკიძე "24 საათს" წეროვნის აგარაკზეც არ დაუხვდა – იგი ბათუმში ისვენებს.

აბაშიძე ადასტურებს, რომ სეკ-ში "სელფორდის" შესვლის შემთხვევაში, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარს შეიძლება, სერიოზული საფრთხე დაემუქროს. ამ აზრს იზიარებენ დამოუკიდებელი ექსპერტებიც. მათი აზრით, ეს საფრთხე განსაკუთრებით სერიოზული იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ ამ ოფშორული კომპანიის უკან ტელეკომუნიკაციებში დიდი ინტერესებისა და ამბიციების, ასევე სოლიდური კაპიტალის მქონე ჯგუფი დგას. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ასეთი კომპანიის ხელში გადასულ "ელექტროკავშირს" ბაზარზე სრულიად ახალი, დისკრიმინაციული თამაშის წესების დადგენა შეეძლება თავისი კონკურენტებისთვის, რომელთა უმეტესობა (თუ ყველა არა) მისი საკაბელო სისტემითა თუ სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობს. ასეთი გზით მათი ჩამოშორება, ალბათ, წარმოადგენს კიდეც "სელფორდის" მიზანს.

სამაგიეროდ, "სელფორდის" მიმართ არანაირი პრეტენზია არ აქვს ქონების მართვის მინისტრს, სოლომონ პავლიაშვილს. მისთვის "სელფორდის" საიმედოობაში დასარწმუნებლად, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმის გაგება, რომ "სელფორდის" ოფისი ლონდონში მდებარეობს (სხვათა შორის, გუშინ მთელი დღის მანძილზე ამ ოფისში "24 საათმა" რუსულ-ინგლისურად მოსაუბრე მდივნის გარდა, ვერავინ აღმოაჩინა). უფრო მეტიც: ის, რომ "სელფორდი" ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, ანუ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიაა და არა, უბრალოდ – ბრიტანული, მინისტრმა სწორედ "24 საათისგან" შეიტყო. პავლიაშვილის განცხადებით, "სელფორდი" თავად "ტელენორმა" ჩართო სეკ-თან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში, თუმცა, ის ვეღარ ახსნა, რატომ აირჩია საქვეყნოდ ცნობილმა კომპანიამ პარტნიორად, თუნდაც მხოლოდ ოფშორულობის გამო საეჭვო "სელფორდი". სხვათა შორის, "სელფორდთან" ყოველგვარი ნაცნობობა "რუსთავი 2"-თან საუბარში "ტელენორის" წარმომადგენელმა კატეგორიულად უარყო.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა აზრით, შესაძლოა, გარკვეული შეთანხმება სეკ-ში საკუთარი ინტერესების დაბალანსების თაობაზე, "ტელენორსა" და "სელფორდს" შორის მართლაც არსებობს. თუ სეკ-ში მართვის უფლებით "ტელენორი" შევა, ამ შემთხვევაში, "სელფორდი", ალბათ, ან მოგებიდან მიიღებს წილს, ან თავის ინტერესს სხვა, ჯერჯერობით, ფარული გარიგებით დაიკმაყოფილებს.

მეტად საეჭვოდ გამოიყურება 200 ათას დოლარად "ტელენორისთვის" ბიზნეს-გეგმის შეკვეთის ფაქტიც. პირველ რიგში იმიტომ, რომ, ჩვეულებრივი საერთაშორისო სტანდარტებით, ბიზნეს გეგმის რეალური ფასი ამ თანხაზე, დაახლოებით, 10-ჯერ ნაკლებია. გარდა ამისა, "ელექტროკავშირის" ბიზნეს-გეგმა უკვე არსებობს, რომელიც გერმანულმა "კომერცბანკმა" ამ ობიექტის პრივატიზების ბოლო მცდელობისას შეადგინა და ის ჯერაც არავის გამოუყენებია. ასეთი სიტუაცია სერიოზულ ეჭვებს ბადებს, რომ ახალი ბიზნეს-გეგმა არავის სჭირდება, უბრალოდ, "სელფორდი" დროს იგებს იმის დასადგენად, ნამდვილად შედგება თუ არა გარიგება, ანუ შეძლებს თუ არა "ელექტროკავშირის" მართვით აღებას. წარუმატებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობების თანახმად, ელექტროკავშირის ნაცვლად გადახდილი 200 ათასი დოლარზე დარიცხული მეტისმეტად მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ამოიღებს ხარჯებს.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ყველა ქართველი მაღალჩინოსანი სასტიკად უარყოფს რაიმენაირ კავშირს "სელფორდთან". სეკ-ის ბიზნეს-გეგმის შედგენის თაობაზე დადებული ხელშეკრულების პირობების გახმაურებიდან 24 საათის გასვლაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა გარიგებაში ქართული მხარიდან მონაწილე ყველა მინისტრსა თუ სხვა პირს რადიკალურად შეეცვალა აზრი სეკ-ის პრივატიზებასთან დაკავშირებით. ახლა ქონების მართვის მინისტრი საერთოდ ვეღარ ხედავს იმ კომპანიის პრივატიზებისა ან მართვაში რომელიმე კომპანიისთვის გადაცემის საჭიროებას, რომელიც მიმდინარე წლის პირველ ნახევარს 2.6-მილიონიანი მოგებით ასრულებს.

"ყალბი" ლარები მიმოქცევაში

პირველი გვერდიდან

მცირე ნომინალის კუპიურებს ჰოლანდიური John Enschede დაბეჭდავს, ათ და ოცლარიანებს კი – ავსტრიული კომპანია OEBS. ამჟამად ორივე კომპანიას ევროს ბანკნოტების ბეჭდვაზე აქვს შეკვეთები", - განუცხადა "24 საათს" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, ირაკლი მანაგაძემ. მისი თქმით, **"ორივე კომპანიის ფასი, სხვა პრეტენდენტებისგან შედარებით, კონკურენტუნარიანი იყო. ჯერჯერობით დაიდო ერთჯერადი კონტრაქტები. თუ ქართული მხარე ბეჭდვის ხარისხით კმაყოფილნი დარჩება, თანამშრომლობა გაგრძელდება".**

შეცდომა ჰოლანდიურ კომპანიასა და დიზაინერს შორის შეუთანხმებლობამ გამოიწვია. რასაკვირველია, უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ დაკისრებულ მოვალეობას ექსპერტები, რომლებსაც კუპიურის საბოლოო ვიზირება ევალებოდათ.

"24 საათის" ინფორმაციით, ხუთლარიანებს საკუთარი ხარჯით ჰოლანდიური მხარე ხელახლა დაბეჭდავს. ახალი მოდიფიკაციის ლარების დაბეჭდვა და შემდეგ მიმოქცევაში გაშვება შესაძლებელი გახდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 1999 წლის 10 დეკემბრის ბრძანებულების შედეგად. ამ დოკუმენტის მიხედვით, ძველი მოდიფიკაციის კუპიურები განახლებულ ბანკნოტებთან ერთად მიმოქცევაში 2005 წლამდე იმოძრავებენ. ხუთლარიანთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ, ეროვნული ბანკი მომოქცევაში ძველი დიზაინის ხუთლარიანებს დატოვებს. ეს ინფორმაცია "24 საათს" საქართველოს ეროვნული ვალუტის დიზაინერმა, ნოდარ მალაზონიამ მიანოდა.

საზოგადოება

კანცელარია და მერია უკანონო მშენებლობების შემკვეთები და აღმასრულებლები არიან

სოფო კვინტრაძე

"24 საათის" საკონფერენციო დარბაზში უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. "ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლებმა იმ უკანონო მშენებლობების შესახებ ისაუბრეს, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს თბილისის ისტორიულ ადგილებში. კავშირი "ძველი თბილისის" თავმჯდომარემ, **დათო მაღრაძემ** უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტი დაადანაშაულა უკანონო მშენებლობების ხელშეწყობაში.

"თბილისი ვიღაცისთვის სამშობლოა, ვიღაცისთვის - მეწველი ძროხა" ლევან ხერხეულიძის ფოტო

"თბილისი ვიღაცისთვის სამშობლოა, ვიღაცისთვის - მეწველი ძროხა. თავიანთი სარგებლისთვის ანგრევენ იმ ფასეულობებს, რაც ძალზე ღირებულია თბილისელებისათვის. ამ უკანონობის ხელშეწყობა კი კანცელარიიდან ხდება. პრეზიდენტმა მთელ ამ პროცესს "აღმშენებლობა" უწოდა, მერია კი რეალურად ახორციელებს "აღმშენებლობას". სინამდვილეში ეს არის უნიკალური კულტურული ღირებულებების მქონე შენობების განადგურება," – განაცხადა დათო მაღრაძემ.

სამეთვალყურეო საბჭოში გაერთიანებული არასამთავრობო ორგანიცაზიების წევრებმა წარმოადგინეს მათ ხელთ არსებული რამდენიმე მასშტაბური უკანონო მშენებლობის მასალა. მათ შორისაა მშენებლობა ყოფილ ქვედა ალექსანდროვის ბაღში, სადაც იქ არსებული შენობების პრივატიზება მოხდა, ახლა კი, "ურბანული განვითარების ცენტრის" წარმომადგენლის, **ვაჟა კუხიანიძის** განცხადებით, მრავალსართულიანი სახლის მშენებლობაა დაგეგმილი. ამ მშენებლობის უკანონობის დასამტკიცებლად ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა მთაწმინდა-კწანისის რაიონულ სასამართლოს მიმართა, რომელმაც, თავის მხრივ, კანონიერად ცნო ალექსანდროვის ბაღში მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა. "ურბანული განვითარების ცენტრის" წარმომადგენელი **ვახტანგ ლეჟავა** აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში ამგვარ დავებში სასამართლო ხშირად ერევა.

"როგორც წესი, სასამართლო სამშენებლო კომპანიების სასარგებლოდ წყვეტს საკითხს. ამიტომ, ჩვენ ლოგიკურად გვიჩნდება ეჭვი, რომ სერიოზულ ლობირებასთან გვაქვს საქმე," – განაცხადა ვახტანგ ლეჟავამ.

გარდა უკანონო მშენებლობებისა, რომლებიც ქალაქის ისეთ ადგილებში ხორციელდება, სადაც ისტორიული ძეგლები მდებარეობს და კანონით აკრძალულია ახალი მშენებლობების დაწყება, მთელი რიგი კანონდარღვევებია კულტურული ღირებულებების მქონე ძეგლების რეკონსტრუქციისას. ქალაქის მერიის მიერ მიღებულ რეგლამენტში განსაზღვრულია, რომ ამგვარი შენობების რეკონსტრუქციის დროს არ უნდა მოხდეს მათი პირვანდელი სახის დამახინჯება. მაგრამ, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აცხადებენ, ეს მხოლოდ ქაღალდზეა დაფიქსირებული, სინამდვილეში კი მერია თვითონვე არღვევს თავის წესებს.

"საქართველოს ბანკის შენობას თავისუფლების მოედანზე, უნივერმაღს ყოფილ კამოს ქუჩაზე, ოფიცერთა სახლსა და სხვა უამრავ შენობას, რომელთა პრივატიზებაც მოხდა, ახლა რეკონსტრუქცია უტარდება. მაგრამ საქმე ისაა, რომ მათი მფლობელები არანაირ ვალდებულებებს არ ასრულებენ და თავიანთ ნებაზე ახდენენ ამ უნიკალური შენობების გადაკეთებას, რის შედეგადაც ისინი კარგავენ პირვანდელ სახეს," – განაცხადა სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა **ნესტან თათარაშვილმა.**

არასამთავრობოების თქმით, უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ბრძოლა რთულია, ვინაიდან ამ პროცესების ლობირება სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან ხდება. ხშირად თავად ხელისუფლების წარმომადგენლები არიან ამა თუ იმ მშენებლობის სათავეში. სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართვა მშენებლობების კანონიერად წარმართვის პროცესში ხელს შეუწყობს უკანონობის აღკვეთას.

რა ბედი ეწევა ვიცე-პრემიერის იდეას

ნანა ქადაგიშვილი

მერიაში გამართულ წინა თათბირზე თბილისის ვიცე-პრემიერმა დავით ღვინიაშვილმა, ცოტა არ იყოს, სენსაციური წინადადება წამოაყენა - მიწის პრივატიზება ხომ არ შეგვეჩერებინაო. შესაძლოა, ეს იდეა მას ბოლო დროს გახშირებულმა მოსახლეობის საპროტესტო აქციებმაც ჩააგონა. საცხოვრებელი სახლების ახლოს წამოწყებული მშენებლობებით უკმაყოფილო მოქალაქეები საჩივარს საჩივარზე აგზავნიან და როცა სასამართლოში არაფერი გამოსდით, პროტესტის "მოდურ" ხერხს – ქუჩის გადაკეტვას იშველიებენ.

შეგახსენებთ ორ გახმაურებულ ფაქტს: ერთი - ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, სასტუმრო "აფხაზეთის" პირდაპირ, კორპუსებს შორის წამოწყებული ბიზნესცენტრის მშენებლობა, რის წინააღმდეგაც მოსახლეობა თვეზე მეტია, იბრძვის. მოქალაქეებმა მიზანს დროებით კი მიაღწიეს, მშენებლობა შეაჩერეს, მაგრამ თამაზ გიორგაძე დათმობას არ აპირებს - მოწინააღმდეგეებს მშენებლობის შეჩერებით მოყენებული ზარალის ანაზღაურებას მოვთხოვ და პროკურატურას გადავცემო, იმუქრება. მეორე ფაქტი კი - ვარკეთილში, ისიც კორპუსებს შორის ეზოში სავაჭრო ობიექტის მშენებლობა, რასაც იქაურ მობინადრეთა ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მოჰყვა. ამ კორპუსების რამდენიმე მაცხოვრებელი, ეზოში საკუთარი ხელით დარგულ-მოვლილი ხეების დაცვისას, სავაჭრო ობიექტის მშენებლებსა და პოლიციას "შემოელახა". ამ ორივე შემთხვევის გამო, სასამართლო პროცესები დაუსრულებლად გრძელდება. ხან იქაური მაცხოვრებლები უჩივიან ბიზნესმენებს, ხან ეს უკანასკნელნი - მოწინააღმდეგე მოსახლეობას.

სხვათა შორის, დავით ღვინიაშვილის განცხადებისა და მოსახლეობის წინააღმდეგობის მიზეზი, გარკვეულწილად, ერთმანეთს ემთხვევა. მოქალაქეებიცა და ქალაქის ხელმძღვანელიც დედაქალაქში დარჩენილი მიწის გაყიდვას იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ "დღეს მიწას მხოლოდ ჯიხურების ჩასადგმელად ყიდულობენო". თუმცა, ჯიხურებისადმი ანტიპათიას ორივე მხარე თავისებურად ხსნის. "კორპუსებს შორის ადგილი აღარ დარჩა ბავშვებმა რომ ითამაშონ, თანაც, ჯიხურები ანტისანიტარიის კერაა, არც ერთს ტუალეტი არ აქვს, ნაგავსაც გარეთ ყრიან", - ჩვიან მოქალაქეები. "ჯიხურებიდან ბიუჯეტში მხოლოდ მიზერული თანხები შედის, თანაც, ქალაქის იერსახე მახინჯდება", - აცხადებს ვიცე-პრემიერი. ასეა თუ ისე, ღვინიაშვილის იდეის განხორციელება უფულო და სისუფთავის მოყვარე მოქალაქეებს მაინც ძალზე გაახარებდა, მაგრამ თათბირზე წამოყენებულ წინადადებას, არათუ განხორციელება, მერიის შენობის კედლებს გარეთ გამოღწევაც არ უწერია.

ქალაქის არქიტექტურის სამსახურს, თურმე, თბილისის იერ-სახის შესანარჩუნებლად მიწის პრივატიზების შეჩერებაზე უკეთესი საშუალება ჰქონია. თურმე, ჯერ კიდევ მამუკა ჩხაიძის მთავარი არქიტექტორობის პერიოდში შექმნილა მიწის პრივატიზების ახალი წესი. ანუ, როცა მოქალაქეს მიწის შესყიდვა სურს, ჯერ არქიტექტურის სამსახურში უნდა წარადგინოს პროექტი, ხოლო შემდეგ მას მერიის შესაბამისი კომისია განიხილავს და თუ დაამტკიცებს, მოქალაქეს მიწის შესყიდვის უფლებას მხოლოდ მაშინ მისცემენ (დღეს კი პირიქით ხდება - მიწას ყიდულობენ და პროექტს მერე ამტკიცებენ). გენგეგმის გარეშე დარჩენილ ქალაქის იერ-სახეს (ძველი, საბჭოთა პერიოდის დროინდელი გენგეგმა აღარ გამოიყენება, ახალზე კი ჯერ მხოლოდ კონცეფციაა შექმნილი) ზემოთ აღნიშნული წესი მართლაც წაადგებოდა. მართალია, "ყოვლისშემძლე" ქართველებს არც გაუჭირდებათ, კომისიას საკუთარი პროექტი მოაწონონ. მაგრამ არქიტექტურის საქალაქო სამსახური ირწმუნება, როცა დაიწყება ამ საინვესტიციო პროგრამის განხორციელება, ჯიხურების ჩასადგმელად მიწას აღარავის მივყიდითო. პრივატიზების ახალი წესი 2002 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ არქიტექტურის სამსახური თავს იმართლებს, ხელი მთავარი არქიტექტორის პოსტზე მომხდარმა ცვლილებებმა შეგვიშალაო.

დავით ღვინიაშვილის ზემოთ აღნიშნულ იდეას განხორციელება, სხვა მიზეზებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სწორედ პრივატიზების ახალი წესის გამო არ უწერია. "თუკი მიწა საინვესტიციო პროგრამის მიხედვით გაიყიდება, აღარც ჯიხურები ჩაიდგმება და აღარც ქალაქის იერ-სახე დამახინჯდება. თავისთავად, პრივატიზების შეჩერებაც საჭირო აღარ იქნება", – აცხადებს არქიტექტურის სამსახური და ირწმუნება, რომ პრივატიზების ახალ წესს მალე აამოქმედებს.

მე-12 წელი ყველაზე ხანგრძლივი რექტორობის ხანიდან

პირველი გვერდიდან

ამის მიზეზი სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის სასარჩელო განცხადება გახდა. იგი უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების წესებს აპროტესტებს და წლევანდელი გამოცდების შედეგების გაბათილებას მოითხოვს. ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ სარჩელი წარმოებაში რამდენიმე დღის წინ მიიღო და საქმის არსებითი განხილვა უახლოეს მომავალში დაიწყება. მანამდე კი, რექტორის ბრძანება მისაღები გამოცდების წესების შესახებ ავტომატურად შეჩერებულია.

"ჩემი გოგონა წელს ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, მაგრამ თბილისიდან ჯერ ვერ გავდივართ, გავიგეთ, რომ შეიძლება, გამოცდები ხელმეორედ დაინიშნოს, მიმღები კომისიის თავჯდომარემ კი დაგვამშვიდა, ნურაფრის გეშინიათ, წადით და წყნარად დაისვენეთო, მაგრამ პრესიდან და ტელევიზიიდან სულ სხვას ვგებულობთ. რომელს დავუჯეროთ, აღარ ვიცით?" – შეწუხებულია დედა.

რა მოხდება, ვერავინ იწინასწარმეტყველებს

ამ შემთხვევამ, სტუდენტების გარდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მაწავლებლებიც დააბნია. ისინი ფიქრობენ, რომ მისაღები გამოცდების შედეგების გაუქმება და განმეორებითი დანიშვნა აბსურდია, თუმცა ამის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავენ. "ჩვენს ქვეყანაში ყველაფერია მოსალოდნელი, მით უმეტეს სასამართლოს მხრიდან. შესაძლოა, მოსამართლეებმა მართლაც გააუქმონ გამოცდების შედეგები და განმეორებითი გამოცდების დანიშვნა მოგვთხოვონ. თუ მალიორკის კუნძულებზე არ აპირებთ წასვლას, წადით, დაისვენეთ და, ყოველ შემთხვევაში, თვალი ადევნეთ მოვლენების განვითარებას, ან დაგვიკავშირდით ჩვენ", - გვირჩია თსუ-ის სასწავლო ნაწილმა ნუგზარ სხირტლაძემ.

რვა ქულა - დასაშვები სამართლიანობის ზღვარი

"მაღლივში" დღესაც ისეთივე ხალხმრავლობაა, როგორც ეს გამოცდების მსვლელობისას იყო. ზოგიერთი სიტუაციისა და მოსალოდნელი შედეგების გარკვევას ცდილობდა. აბიტურიენტები, ფასიან განყოფილებაზე ჩასარიცხად, მიმღებ კომისიასთან ხელშეკრულებას აფორმებდნენ. საერთო ჯამში კი, ყველა წლევანდელი გამოცდების შედეგებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა. "ამბობენ, წელს, რომ უნივერსიტეტში პრეტენზიები და საჩივრები შეიდა, ამდენი არც ერთ წელს არ შესულაო. მე ქართული წერის ნიშანი გავაპროტესტე, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ ნაწერში ცხრიანი დამსახურებულად მეკუთვნოდა, რვიანი არაფრით გადამისწორეს. პირდაპირ მითხრეს, მითითება გვაქვს მიღებული, რომ არავითარ შემთხვევაში არ აწიოთ რვიანებიო", - გვითხრა ფილოლოგიის ფასიან განყოფილებაზე მოხვედრილმა სტუდენტმა.

არასაბიუჯეტოზეც ქრთამია მისაცემი, - თვლიან მშობლები

იურიდიული ფაკულტეტის აბიტურიენტებისა და მათი მშობლების ერთმა ნაწილმა გუშინ თსუ-ის პირველ კორპუსში მოიყარა თავი. ისინი რექტორთან, როინ მეტრეველთან შეხვედრას ცდილობენ. რექტორი კი უნივერსიტეტში, არც "მაღლივში" და არც პირველ კორპუსში, რამდენიმე დღეა არ გამოჩენილა. ადმინისტრაციიდანაც არავინ ჩანს, ვინც აბიტურიენტებს პასუხს გასცემს. "ჩვენ წავიდოდით, მაგრამ ბავშვები არ მოგვყვებიან. ამათმა გამოცდებზე იმდენი უსამართლობა ნახეს, რომ სანამ სამართალს არ იპოვიან, არ გაჩერდებიან, "- ამბობს ერთ-ერთი მშობელი.

იურიდიული ფაკულტეტის საბიუჯეტო სექტორზე 145 აბიტურიენტი ჩარიცხა, ორი ამდენი - ფასიან დასწრებულზე და ფასიან დაუსწრებელ სექტორზე. 23 აბიტურიენტი, რომლებსაც შეფასება 9 ქულა აქვთ, თვლიან, რომ მათი დაუსწრებელი ფაკულტეტის კანდიდატებად ჩარიცხვა უსამართლობაა და მოითხოვენ ფასიან დასწრებულზე გადაყვანას. "საბუთები პირდაპირ ფასიან სექტორზე შევიტანე. ტესტირების შემდეგ ცხრა ქულა მოვაგროვე და ახლა გავიგე, რომ გამსვლელი ცხრანახევარი ყოფილა. ცხრიანი არცთუ ისე დაბალი ქულაა და რატომ უნდა დავრჩეთ გარეთ?" – გვითხრა ერთ-ერთმა გოგონამ, რომელსაც ფასიან დასწრებულ განყოფილებაზე ჩასარიცხად ნახევარი ქულა დააკლდა.

მის შეკითხვას იქვე უპასუხეს: "იმიტომ, რომ ფული არ გადაგვიხდია!"

ფასიანს მიღმა დარჩენილი, ცხრაქულიანი პროტესტანტების თქმით, წინა დღეს საპროტესტო კომისიამ ბევრს გადაუკეთა შეფასება ცხრიდან ათზე. მაღლივში გამოკრული ფასიანი განყოფილებების კანდიდატთა დიდი ნაწილი მართლაც ათქულიანები არიან.

"რექტორის ნება არ არის 23 ბავშვიც დაამატოს? უფრო მეტი ფული შეუვა, აი რემონტსაც აკეთებენ და დასჭირდებათ, "- პრაქტიკულ რჩევას იძლევა ერთ-ერთის მამა, მაგრამ ამაოდ - რექტორი არ ჩანს.

ვინ დამიბრუნებს ფულს?

"მაღლივში", ფასიანი განყოფილების კანდიდატი აბიტურიენტები სტუდენტობას კონტრაქტებით ამტკიცებენ - მოაქვთ ბანკიდან სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი და მიმღები კომისია ადასტურებს, რომ ესა და ეს აბიტურიენტი ნამდვილად გახდა უნივერსიტეტის სტუდენტი.

"ფასიან განყოფილებაზე ვერ ვისწავლი, ამიტომ საბუთების გასატანად მოვედი," - გვეუბნება გოგონა, რომელიც სამედიცინო ფაკულტეტზე აბარებდა. ვისაც არ შეუძლია ფულის გადახდა, საბუთები გააქვს, მაგრამ იურიდიულ ფაკულტეტზე ასეთს ვერ მოძებნითო, გვითხრა ბიჭმა, რომელიც მესამე წელია ჯიუტად ცდილობს გაიურისტებას: "დედისერთა ვარ და ჯარში არ წამიყვანენ, რა მენაღვლება, სანამ არ მიმიღებენ, ვაბარებ და ვაბარებ".

"ფასიანის" მშობლები ორმხრივად შეაშფოთა "სარჩელის" და ხელახალი გამოცდების სიტუაციამ: "მე რომ გადავიხადო და მერე ახალი გამოცდები დანიშნონ, ჩემს ფულს ბანკი არ დამიბრუნებს, ეს ხომ როინ მეტრეველის ბანკია."

ბანკმა "რესპუბლიკამ" გუშინ დაიწყო გადასახადების "აკრეფა".

ყველაზე ხანგრძლივი რექტორობის ხანა

"1999 წლიდან როინ მეტრეველისთვის წყლის შეყენებას ცდილობენ: მაშინ "რეზონანსმა" სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა და პრეზიდენტობის სასურველ კანდიდატებში, მეტრეველი მესამე იყო," - გვითხრა უნივერსიტეტის მაღალი ეშელონის თანამშრომელმა, რომელიც ფიქრობს რომ, სხვებთან შედარებით, უნივერსიტეტი ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული უმაღლესი სასწავლებელია და მის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლაა გამოცხადებული.

"მაშინ, ქვეყანა რომ არ არეულიყო, როინი ცეკას მდივანი გახდებოდა და ნახავდით, როგორ გაპარპაშდებოდნენ ეს უწიგნური ღლაპები," - გვითხრა ხანდაზმულმა ისტორიკოსმა, რომელმაც მისი რექტორის ჰუმანურობის არაერთი მაგალითი გაიხსენა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან როინ მეტრეველი 23-ე, ყველაზე ხანგრძელი რექტორია. "რაც უფრო დიდხანს ხარ სამსახურში, საქმესაც მეტს აკეთებ და ცუდის მთქმელიც გიმრავლდება. ჩვენ საქმის მკეთებელი ხალხი არ გვიყვარს, ამიტომაც ებრძვიან მათ," - დაამთავრა მოხუცმა საუბარი.

ერაყი - ტერორიზმთან ბრძოლის მორიგი სამიზნე

პირველი გვერდიდან

სკეპტიციზმი ევროპაში

11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, გერმანიის კანცლერის გერჰარდ შრიოდერის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, აშშ-ს შეუზღუდავი თანადგომა გამოუცხადეს. ნატო-ს არსებობის ისტორიაში პირველად, წევრ ქვეყანას ალიანსის წესდებით გათვალისწინებული თანადგომა აღუთქვეს. თუმცა, აშშ-ს მაშინ ნატო-სგან ბევრი არც არაფერი უთხოვია. მას დახმარება ცალკეულმა ქვეყნებმა (განსაკუთრებით, დიდმა ბრიტანეთმა) გაუწიეს. იმავდროულად, ავღანეთში ომის დროს, საერთაშორისო თანამეგობრობა ვაშინგტონის გვერდით ერთსულოვნად იდგა. აშშ-ს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ომის დაწყებამდე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ყველა პირობა შესრულდა და გაერო-ს უშიშროების საბჭომ შესაბამისი რეზოლუციაც მიიღო. აშშ-ს სამხედრო ოპერაციას მხარი დაუჭირეს რუსეთმა და ჩინეთმაც. ევროპის ყველაზე რადიკალური მშვიდობისმყოფელებიც კი, რომლებიც კოსოვოს მოვლენების დროს გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციის გარეშე იუგოსლავიის დაბომბვას აშკარა აგრესიას უწოდებდნენ, ავღანეთის შემთხვევაში არაფერს ამბობდნენ.

ახლა კი დღის წესრიგში ერაყი დგას. უკმაყოფილება იზრდება არა მხოლოდ პაციფისტებს შორის. ისინი კვლავაც ამერიკულ იმპერიალიზმს უკიჟინებენ და ერაყის წინააღმდეგ საბრძოლო მზადებაში მხოლოდ ქვეყნის მდიდარი ნავთობსაბადოების ხელში ჩაგდების სურვილს ხედავენ. სხვანი ამ საკითხს უფრო პრაგმატულად უდგებიან. მათი აზრით, ავღანეთსა და ერაყს შორის რამდენიმე აშკარა განსხვავებაა. ავღანეთი იყო ტერორისტების ბუდე, რომელსაც სახელმწიფოს ნიშნები დაკარგული ჰქონდა. ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმი ერაყში, ცხადია, სახელმწიფოს იდეალურ მოდელად ვერ ჩაითვლება, მაგრამ იგი ასრულებს სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას - საკუთარი ტერიტორიის სრულ და ეფექტურ კონტროლს, თუ არ ჩავთვლით ქვეყნის სამხრეთსა და ჩრდილოეთში დაწესებულ ზონებს, სადაც ერაყის სამხედრო ავიაციას ფრენა აკრძალული აქვს. ერაყში არ არის სერიოზული ოპოზიცია, რომელიც ავღანეთში ჩრდილოეთის ალიანსის სახით, ავად თუ კარგად, არსებობდა და ქვეყნის 10 პროცენტსაც აკონტროლებდა. ემიგრაციაში მყოფი ერაყის ოპოზიცია დაქსაქსულია და ქვეყნის შიგნით გავლენა არა აქვს. არც ერაყის ჩრდილოეთში მცხოვრები ქურთები წარმოადგენენ იმ ძალას, რომელმაც ჰუსეინის ქვეყნის შიგნიდან დამხობას უნდა შეუწყოს ხელი.

ევროპელთა თქმით, უცნობია, თუ რა სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია ერაყს. ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო ექსპერტის ვარაუდით, ბაღდადის სამხედრო ძლიერება სპარსეთის ყურის კრიზისის შემდეგ ერთობ შელახულია. მაგრამ, მაგალითად, გერმანელი ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ ომის შემდეგ ერაყმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ბევრად გააუმჯობესა. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ სპარსეთის ყურის ომში საერთაშორისო თანამეგობრობას მიზნად არ ჰქონია ჰუსეინის დამხობა. ახლა კი ერაყელ დიქტატორს დასაკარგი არაფერი ექნება და არც ბიოლოგიური თუ ქიმიური იარაღის გამოყენებას ითაკილებს. ევროპელებში შეშფოთებას იწვევს ამერიკის პრეზიდენტის ადრე გაკეთებული განცხადება, რომ ტერორიზმთან ბრძოლის დროს ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებაც შეიძლება. ევროპაში ფიქრობენ, რომ სამხედრო მოქმედებებს ძალინ დიდი მსხვერპლი მოჰყვება. ასევე დიდი იქნება ლტოლვილთა არმიაც, რომლის გარკვეულმა ნაწილმა, შეიძლება, ევროპასაც კი მიაშუროს.



ჯორჯ ბუში

სადამ ჰუსეინი

REUTERS

გარდა ამისა, უცნობია ომის ხარჯები. სპარსეთის ყურის ომის ხარჯების დიდი წილი, ზოგი შეფასებით - 4/5, არაბულმა ქვეყნებმა გაიღეს. დღეს ისინი ასე უხვნი აღარ იქნებიან. 1991 წელს გერმანია, როგორც მოკავშირე, აშშ-ს ასევე ფინანსურად დაეხმარა. სამაგიეროდ, მას ომში მონაწილეობა არ მიუღია. დღეს კი, თუ გერმანიის ეკონომიკურ პრობლემებსა და, განსაკუთრებით კი, კარს მომდგარ არჩევნებს გავითვალისწინებთ, ამგვარი თანხების გასაღებად ქვეყანა მზად არ არის.

ევროპელებს ომზე მეტად ომისშემდგომი მშვიდობის ეშინიათ. ორი აზრი არაა, რომ ამერიკელებს ჰუსეინის დამხობა არ გაუჭირდებათ. საქმე ისაა, თუ რა გავლენას მოახდენს ეს მოვლენა რეგიონზე და რა პირობებში დატოვებს ერაყს. უპირველესად ეს თემა არაბულ სამყაროს ეხება. ყველას ახსოვს, რომ ავღანეთის ომმა პაკისტანში საკმაოდ დიდ ვნებათაღელვა გამოიწვია. ამერიკის ომს ერაყის წინააღმდეგ უთუოდ მსგავსი რექცია მოჰყვება საუდის არაბეთსა და კატარში, სადაც ანტიამერიკული გამოსვლები არც ისე უცხო ხილია. აშშ-ს საწინააღმდეგო განწყობას ამ ქვეყნებში ამძაფრებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემა (არაბული მოსახლეობა ვაშინგტონს ისრაელის დახმარებაში ადანაშაულებს). ცხადია, რომ არაბული ქვეყნების ლიდერები მუდმივი პრობლემის, სადამის მოშორებას ერთგვარად მიესალმებიან კიდეც, მაგრამ არა მთელი რეგიონის აფეთქების ფასად. მსგავსი შეშფოთება დიდ ბრიტანეთსა და შემდეგ აშშ-ში ვიზიტად მყოფმა იორდანიის მეფე აბდულამაც დაადასტურა.

რეგიონულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ თურქეთისა და ირანის თემაც. პირველი ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატია. კავშირში განევრიანებისათვის მოლაპარაკებების დასაწყებად მან ამ დღეებში რეფორმების მთელი პაკეტი მიიღო, რომლითაც ქურთებს მნიშვნელოვანი კულტურული შეღავათები მიეცათ. ამიერიდან მათ მშობლიურ ენაზე ტელემაუწყებლობისა და განათლების მიღების უფლება ექნებათ. ერაყის რეჟიმის დამხობამ კი ქვეყნის ჩრდილოეთში ქურთული სახელმწიფოს შექმნა შეიძლება გამოიწვიოს, რასაც ანკარა საკუთარ ტერიტორიაზე სეპარატიზმის გაღვივების საფრთხედ მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ვოლფოვიცმა, ანკარაში სტუმრობისას, მოვლენების ამგვარი განვითარება კატეგორიულად გამორიცხა, ამ თემამ თურქეთის პროევროპულ რეფორმებზე, შეიძლება, მაინც უარყოფითად იმოქმედოს. აღსანიშნავია ისიც, რომ რეფორმების პაკეტით თურქეთმა სიკვდილით დასჯა გააუქმა. სასჯელის ეს ზომა მხოლოდ საომარი ვითარების დროს შეიძლება იქნეს გამოყენებული. ამდენად, საკითხავია, ერაყთან ომი და ქურთების სეპარატიზმის პრობლემის გამძაფრება ხომ არ გამოიწვევს სიკვდილით დასჯის რეანიმაციას.

ირანის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და აშშ-ს ამ თემაზე აშკარად განსხვავებული პოზიცია აქვთ. ევროპის ქვეყნები თეირანს ტერორისტულ ქვეყნად არ მიიჩნევენ და მასთან თანამშრომლობას აგრძელებენ. საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის წარმომადგენლის, ხავიერ სოლანას თეირანში ვიზიტის დროს ცალსახად ითქვა, რომ ევროკავშირი ირანთან თანამშრომლობის გაგრძელების მომხრეა. სამაგიროდ, ირანის მხრიდან ევროპელები შიდა რეფორმების გაღრმავებასა და ახლო აღმოსავლეთის საკითხში პოზიციის შეცვლას, ანუ ებრაული სახელმწიფოს აღიარებას მოითხოვენ.

ევროპის ქვეყნების ლიდერების უმთავრეს თავსატკივრად მაინც შიდა პოლიტიკა რჩება, ანუ ის, თუ როგორ უნდა „მიყიდონ“ მათ ერაყის ომი საკუთარ მოსახლეობას. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორიც. მაშინ, როცა ამერიკის მოსახლეობას ჯერაც თვალწინ უდგას 11 სექტემბრის კატასტროფის შედეგები, ევროპაში ეს სურათები უკვე დავიწყებას მიეცა. ამერიკაში ბრძოლის ჟინი ჯერაც არ ჩამცხრალა, ხოლო ევროპაში, სადაც პაციფისტური იდეები ყოველთვის უფრო ძლიერი იყო, უკვე ავღანეთის ომის დროს ისმოდა კრიტიკული ხმები. საგულისხმოა დიდი ბრიტანეთის მაგალითი. ერთის მხრივ, პრემიერ ტონი ბლერი ამერიკას თანადგომას უცხადებს, მეორეს მხრივ კი, ბრიტანეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ერაყთან ომის წინააღმდეგია. მოწინააღმდეგეთა რიცხვი ბევრად დიდია საფრანგეთსა და გერმანიაში, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ევროპულ ქვეყნებზე.

რა ვქნათ, თუ ამერიკამ ომი მაინც დაიწყო?

საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებმა, ჟაკ შირაკმა და გერჰარდ შრედერმა 30 ივლისს გამართული შეხვედრის დროს განაცხადეს, რომ ისინი არ ემხრობიან ერაყში სამხედრო აქციას. ვაშინგტონმა, მათი თქმით, პარტნიორ ქვეყნებს, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი კონსულტაციები აღუთქვა. ამგვარი კონსულტაციები ჯერ არ გამართულა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ომი ჯერ მოსალოდნელი არაა.

მიუხედავად ამისა, ევროპის დედაქალაქებში ამ თემაზე მსჯელობა უკვე მიმდინარეობს. გერმანიის პოლიტიკური წრეები ომს არ ემხრობიან, მაგრამ არც ამერიკელების განაწყენება სურთ. ბერლინში ამ უხერხული სიტუაციიდან საკმაოდ მოხერხებული გამოსავალი მოძებნეს. მმართველი პარტიაცა და ოპოზიციაც ჯერ გაერო-ს შესაბამის გადაწყვეტილებას მოითხოვენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგეს სამხედრო ოპერაციაში გერმანიის მონაწილეობის საკითხი. ამ ქვეყანაში კარგად იციან, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭო, სადაც რუსეთი და ჩინეთიც შედიან, ერაყის წინააღმდეგ ომს მწვანე შუქს არ აუნთებს. გარდა ამისა, გერმანელები მოითხოვენ, რომ ერაყის თემა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის პარალელურად განვითარდეს. პალესტინის სახელმწიფოს შექმნამ უნდა გაანეიტრალოს არაბულ სამყაროში ერაყის წინააღმდეგ ომთან დაკავშირებული უარყოფითი რეაქცია.

გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირის ერთიანი პოზიციით გამოსვლას ემხრობიან. იმავდროულად, საინტერესოა, გავიხსენოთ, თუ რა როლს ასრულებდა ევროკავშირი ავღანეთის ომის დროს. ფაქტობრივად, არანაირს, რადგან ამერიკელთა მხრიდან დახმარების მოთხოვნას ევროპის წმყვანი ქვეყნები ცალ-ცალკე გამოეხმაურნენ და ევროკავშირის ერთიანი პოზიციის შემუშავებაზე თავიც კი არ აუტკივებიათ. ცალკე თემაა დიდი ბრიტანეთიც. ლონდონმა ვაშინგტონს საბრძოლო მოქმედებებში მხარდაჭერა აღუთქვა. ბრიტანული თვითმფრინავები, ამერიკელებთან ერთად, ახორციელებენ ერაყის ჩრდილოეთსა და სამხრეთში სამხედრო ფრენებს. ამდენად, ლონდონი ევროკავშირის ერთიან პოზიციას არც ახლა დაელოდება. უნდა ითქვას ისიც, რომ ბრიტანელების გულუხვი დაპირებები, შეიძლება, ფუჭიც აღმოჩნდეს. როგორც გასულ წელს ომანში გამართული ფართომასშტაბიანი წვრთნების შედეგებიდან ჩანს, ბრიტანული სამხედრო ტექნიკა უდაბნოში ბრძოლისათვის მზად არაა. ერთ-ერთი გერმანული გაზეთი ამ თემაზე ირონიულად შენიშნავს, რომ ბრიტანული ტანკის, "ჩელენჯერ-2"–ის ელექტრონული კავშირი არაფრად ვარგა. სამაგიეროდ, ტანკის კაბინები ჩაის მოსადუღებელი აპარატითაა აღჭურვილი, რაც ჩაის მოყვარული ბრიტანელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

სუსტ ევროპას იმედი აქვს, რომ ამ ომისთვის აშშ-ც სუსტია

ერაყის ირგვლივ გამართული დებატები ადასტურებს, რომ ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე საუბარი ჯერაც ნაადრევია. ერთია პოზიციათა თანხვედრის პრობლემა: მაშინ, როცა ფრანგები და გერმანელები ვაშინგტონისაგან წინასწარ კონსულტაციებს ითხოვენ და თანადგომის გამოცხადებაზე ფეხს ითრევენ, ბრიტანელები ამერიკელებს დახმარებას იმთავითვე ჰპირდებიან. მეორეა ევროპის სამხედრო-პოლიტიკური სისუსტე, რაც, თავისათვად, პირველი პრობლემიდან გამომდინარეობს. ევროპის ქვეყნები მაასტრიხტის შეთანხმების შემდეგ (1991 წელი) გულმოდგინედ იმეორებენ, რომ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირება სურთ, 1999 წელს გამართული კელნისა და ჰელსინკის სამიტების შემდეგ კი ერთიანი ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაზეც საუბრობენ, მაგრამ რეალური შედეგები ამ ნაბიჯებს ჯერაც არ მოჰყოლია. ევროპას არა აქვს ერთიანი სახე და, შესაბამისად, არა გააჩნია ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი. ბალკანეთის კრიზისის მოწესრიგების პროცესი აჩვენებს, რომ სამხედრო აღჭურვის, მომარაგებისა და სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების საკითხებში ევროპელები ისევ ამერიკელებზე დამოკიდებულნი რჩებიან. მთელი რიგი ოპერაციების ჩასატარებლად მათ ნატო-ს შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამოყენება უწევთ. ამ პრობლემების მოგვარების გზაზე უკვე იდგმება გარკვეული ნაბიჯები, როგორებიცაა: სატელიტური ცენტრის მომზადება, საფრანგეთისა და გერმანიის სატელიტური სისტემების ურთიერთავსებადობა და სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების შეძენა. ეს ყოველივე ჯერაც ძალზე მცირეა, რომ ევროპელების სამხედრო-პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ვისაუბროთ. ისინი კვლავაც ამერიკელებზე დამოკიდებულნი რჩებიან. როგორც გერმანიის ყოფილი კანცლერი ჰელმუტ შმიდტი ამბობს, ამერიკელები თავის ქვეყანას რომის იმპერიას ადარებენ, ხოლო ევროპას - პროვინციულ ათენს, სადაც პატრიციები თავიანთ შვილებს რიტორიკისა და ფილოსოფიის შესასწავლად აგზავნიდნენ.

ევროპელებს ნაკლებად შეუძლიათ ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყებაზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა. ისინი, უბრალოდ, იმედოვნებენ, რომ ეს ომი არ შედგება ან კიდევ გაურკვეველი ვადით გადაიდება. ამის იმედს მათ ამერიკის დღევანდელი არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა აძლევთ. ევროპაში ოპტიმისტურად უყურებენ ამერიკის სენატში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსაც და ამბობენ, რომ, სულ მცირე, ნოემბრის კონგრესის არჩევნებამდე ომის აჩრდილის არ უნდა ეშინოდეთ. ასევე იმედის თვალით უცქერს ევროპა ბაღდადის მიერ გაეროს ინსპექტორთა კონსულტაციებზე მიწვევას, თუმცა ისიც იციან, რომ საბოლოო მშვიდობას ეს ვერ უზრუნველყოფს. ევროპაში კარგად აცნობიერებენ, რომ ამერიკელებს, სამხედრო თვალსაზრისით, მათი დახმარება არ სჭირდებათ. რომი ათენის მხოლოდ მორალურ და ფინანსურ თანადგომას მოთხოვს. და თუ ერაყის დიქტატორის დასამხობად ნაღარას მაინც შემოჰკრეს, მაშინ ევროპელები, როგორც ყოველთვის, რაიმეს მოიფიქრებენ, რომ ვაშინგტონს ეს მხარდაჭერა გაუწიონ. ერთი კი ნათელია: ევროკავშირის დამოუკიდებლობა და ერთიანობა ამჯერადაც საპნის ბუშტივით გაქრება.

მოსკოვში ამტკიცებენ, რომ ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებას პირდაპირი კავშირი ექნება პანკისის მოვლენებთან

პირველი გვერდიდან

ამ დღეებში რუსი პოლიტოლოგებიც აქტიურად განიხილავენ პანკისის ხეობაში რუსეთის სამხედრო ოპერაციის ჩატარების ალბათობის საკითხს. ამ მხრივ პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა.

რადიო "ეხო მოსკვის" ღია ეთერში გამოსვლისას, ფონდ "პოლიტიკას" პრეზიდენტმა ვიაჩესლავ ნიკონოვმა ნაკლებად სარწმუნოდ მიიჩნია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ოპერაციის ჩატარება.

"სწორედ აშშ-ს შეუძლია დღეს გახდეს შუამავალი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებაში,"-აცხადებს პოლიტოლოგი. იქვე ნიკონოვი ამბობს, რომ **"შეიძლება, შევარდნაძე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდეს საქართველოში რუსეთის ჯარების შეყვანას, თუ მას დაურეკავს პაუელი და ეტყვის: "ასეა საჭირო".** ნიკონოვი ამბობს, რომ **"რუსეთი ამერიკა არ არის, და მან საერთაშორისო საზოგადოებას ანგარიში უნდა გაუწიოს. პუტინს ცივილიზებული ერების კლუბის წევრად დარჩენა სურს, სადაც**

სერგეი მირონოვი

რუსეთი სულ ცოტა ხნის წინ გაწევრიანდა".

ასეთ თვალსაზრისს არ იზიარებენ რუსი ანალიტიკოსები და რუსული მედია. ისინი ყურადღებას მიაპყრობენ 3 აგვისტოს, მანილაში ფილიპინების პრეზიდენტთან მოლაპარაკებების დროს, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, შეერთებული შტატები არ მიიღებს ერაყის წინადადებას ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციების ინსპექტორთა დაბრუნებაზე .

პაუელის მიერ ოფიციალური ბაღდადის წინადადების უარყოფა რუს დამკვირვებლებს აფიქრებინებს, რომ ანტიტერორისტულ კოალიციაში აშშ და მისი მოკავშირეები ერაყს უახლოეს დღეებში დაარტყამენ. საერთაშორისო დამკვირვებლების აზრით, ერაყი არ ასრულებს საერთაშორისო ტერორიზთან ბრძოლის საკუთარ ვალდებულებებს, ამიტომ მოლაპარაკებების განახლებას აზრი არ აქვს.

რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში გავრცელებულია აზრი, რომ სწორედ პაუელისა და ივანოვის ამსაწინანდელი მოლაპარაკებების შემდეგ დაიბადა იდეა, საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთის აქტიური მონაწილეობით, ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების თაობაზე.

მოსკოვის პოლიტიკურ წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ ამ ოპერაციაში დღეს უკვე აქტიურად მონაწილეობენ ანტიტერორისტულ კოალიციაში რუსეთ-ამერიკის მოკავშირეები. ჯერ-ჯერობით, მათი ჩარევა წმინდა თეორიულ ხასიათს ატარებს. უახლოეს მომავალში კი, გაეროს უშიშროების საბჭოს ფარგლებში უფრო პრინციპულ განცხადებებს და ქმედებებს უნდა ველოდეთ.

ფრანგულ ნელსაცხელებლებს შეფარებული ქართული სილამაზე

„ქრისტიან დიორის„, „გერლენის„, „კენზოსა„ და „ჟივანშის„ საზაფხულო სიახლეები

თამარ სუხიშვილი

"გამორთეთ თქვენი მობილური ტელეფონი, პერსონალური კომპიუტერი და დაივიწყეთ ელექტრონული ფოსტის არსებობა. გვერდზე გადადეთ გაზეთი და ყურადღებას ნუ მიაქცევთ ტელევიზორს. ოჯახის წევრებს განუცხადეთ, რომ უმნიშვნელოვანეს საღამოზე მიგეჩქარებათ... საზაფხულოდ გამოეწყვეთ (რა თქმა უნდა, სუნამო არ დაგავიწყდეთ) და მობრძანდით," – აი, ასეთი დამაინტრიგებელი იყო მიპატიჟების ტექსტი, რომელიც ადრესატს კვირას (4 აგვისტოს), საღამოს 8 საათზე, სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასში" იწვევდა.

ეს ღამაზი საღამო "კრისტიან დიორის", "ჟივანშის", "კენზოსა" და "გერლენის" საქართველოს წარმომადგენლობამ აჩუქა ამ ფირმების ყველაზე ერთგულ ქართველ მომხმარებელს მაღაზიათა ქსელ "ვულე-ვუსთან" ერთად.

სასტუმრო "მეტეხის" პირველ სართულზე, ხელმარცხნივ მდებარე დარბაზ "ბალავარში" მისულ სტუმრებს მასპინძლები უთავაზიანესი ფრანგული ღიმილით ესალმებოდნენ (ნამდვილად ყველას ეკუთვნოდა ჩვენში ახლახანს დაწესებული "ღიმილის პრიზი") და ამ ოთხი პარფიუმერიული კომპანიის მაგიდა-სტენდებისაკენ მიუძღვებოდნენ. მაგიდებთან "ვულე-ვუს" ელეგანტური და დაუზარელი კონსულტანტები ახალ პროდუქციას აცნობდნენ მომხმარებელს და ბევრ საინტერესო რჩევასაც სთავაზობდნენ – მაგალითად, იმას, რომ მკვეთრი ფერის პომადა უკვე აღარ არის აუცილებელი, მთავარია, ტუჩს ბზინვარება ჰქონდეს და ოდნავი ელფერი დაჰკრავდეს, ამ ფუნქციას კი ახალი ბრჭყვიალა ტუჩის საცხი მშვენივრად ასრულებს. ვერ გამიგია, რას ხედავთ პომადაში ცუდს?! (გახსენდებათ, ალბათ ეს მშვენიერი პასაჟი რეზო ესაძის "ნეილონის ნაძვის ხიდან").

მნახველი შესვლისთანავე მიიზიდა "ჟივანშის" ფერადოვნებამ. "კენზო" კვლავ ახალი მიხაკიანი სუნამოს რეკლამით იყო წარმოდგენილი. სიმდიდრით, ფუფუნებითა და ეგზოტიკური დიზაინით გამოირჩეოდა ფრანგი ქალის სიმბოლოს - ფირმა "გერლენის" კუთხე: ოქროსძაფებიანი სითხე სახის კანის სინაზის შენარჩუნებისათვის, კრემების ნაირსახეობა, ახალი სუნამო, და, რაც მთავარია, უამრავი სიახლე ახალგაზრდებისათვის – "გერლენში" ხომ ამ ბოლო პერიოდში ნამდვილი გადატრიალება ხდება – თუ ეს ფირმა ადრე ძირითადად "ბალზაკის ასაკის" ქალთა მოთხოვნილებებზე იყო ორიენტირებული, ახლა ბევრად უფრო გაახალგაზრდავდა და მისი მომხმარებლის რაოდენობამაც იმატა (თუმცა ფრანგული არისტოკრატიის სახე – "გერლენი" მომხმარებლის სიმცირეს არასოდეს განიცდიდა). თბილისურ პრეზენტაციაზე ყველაზე მეტი ხალხი მაინც "კრისტიან დიორის" სტენდთან ირეოდა. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ამ ოთხი ფირმის პარფიუმერიული ნაწარმის მომხმარებლის დაახლოებით 60% "კრისტიან დიორზე" მოდის, დანარჩენი 40% კი "გერლენს", "კენზოსა" და "ჟივანშის" შორის თითქმის თანაბრად ნაწილდება. "დიორის" სტენდის გარშემო ხალხმრავლობა Dior Bikini-ს ე.წ. "კოსმეტიკური დიეტის" დემონსტრირებამაც გამოიწვია. ეს ბუნებრივიცაა, ჭარბი წონის დაგდება ხომ ქართველი მანდილოსნების მუდმივი და მოუშორებელი პრობლემა გახლავთ.

ასეთი საღამოები 1998 წლიდან მოყოლებული თბილისში არაერთხელ გამართულა. 1998 წლიდან იმიტომ, რომ ამ წელს საქართველოში ხელახლა გაიხსნა "კრისტიან დიორის" ბუტიკი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცნობილმა ფრანგულმა ფირმამ ქართველ პარტნიორთან ურთიერთობა განაახლა. ამავე წლიდან ჩვენს ქვეყანაში არსებობს "ჟივანშის", "გერლენისა" და "კენზოს" წარმომადგენლობაც. ამ ოთხი ფირმის წარმომადგენლები საქართველოში ხათუნა მზარელუა და მაია გელოვანი არიან. ეს საღამო მათ ქართველ პარტნიორთან – მაღაზიათა ქსელ "ვულე-ვუს" მფლობელ კომპანია Style-თან ერთად მოაწყეს. (ცნობისათვის, რამდენიმე თვეა წარმომადგენლობამ დაიწყო თანამშრომლობა მაღაზიათა ქსელ "ისი-პარისთან", სადაც "კრისტიან დიორის" პროდუქციაა წარმოდგენილი). ორგანიზატორები შეეცადნენ, პარფიუმერიული სიახლე არატრადიციული ფორმით შეეთავაზებინათ მომხმარებლისთვის და მათთვის მადლობაც გადაეხადათ. "საზაფხულოდ ბევრი სიახლე დაგროვდა, ამიტომ მათი პრეზენტაციის მოწყობა გადავწყვიტეთ, თანაც, მე ვფიქრობ, დროც შესაფერისი შევარჩიეთ: ზღვის სეზონი იწყება. ზღვაზე გასამგზავრებლად კი, ბევრი რამ გჭირდებათ, - კანის მოვლის საშუალებებიდან დაწყებული, სუნამოთი დამთავრებული, ასე გაჩნდა ამ საღამოს მოწყობის იდეა," – გვეუბნება ხათუნა მზარელუა, და იმასაც დასძენს, რომ საღამოს ერთგვარი კომერციული დატვირთვაც ჰქონდა – პროდუქციის რეკლამირება.

"კენზოს" მოყვარულები
იარა ლეონიძის ფოტო

ფრანგულ სუნამოებდაფრქვეული დარბაზიდან სტუმრებმა ღია ცისქვეშ გადაინაცვლეს, სადაც სუფთა ჰაერი, "ალაფურშეტი" წითელი და თეთრი ღვინით და 15 პრიზის გათამაშება ელოდათ. უნდა ითქვას ისიც, რომ სტუმართა შერჩევა არანაირი პრინციპის მიხედვით არ მომხდარა, არც ელიტარულობა-პოპულარობით, არც ჩვენში უკვე დამკვიდრებული კრიტერიუმით – პოპულარულ პირთა ცოლობის წყალობით. აქ იყვნენ უბრალოდ მუდმივი და ერთგული კლიენტები (რა თქმა უნდა, ძირითადად სუსტი სქესის და გარკვეული ფენის წარმომადგენლები) - კოსმეტიკური საშუალებებით თუ ნამდვილი (რადიაციული) მზით გარუჯული მოვლილი მანდილოსნები, რომელთა სურნელოვან გარეცხვაში ყოფნამ თურმე ისეთი დიდი გავლენა იქონია მუსიკოს დათო ოძელაშვილზე, რომ გაათკეცებული მონდომებითა და ენერგიით დაუკრა და იმღერა მთელი საღამოს განმავლობაში. მომღერალი მამაკაცებიდან სტუმრებს შორის დათო გომართელსაც მოვკარი თვალი.

სწორედ ამ საღამოს გავიგე, რომ პარფიუმერიული საშუალებების მომხმარებელ მამაკაცთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში თურმე თანდათან და სასიკეთოდ (!) მატულობს. მართალია, პარფიუმერიის მაღაზიებში ისინი ძირითადად მაინც მანდილოსნებისთვის საჩუქრის საყიდლად შეირბენენ ხოლმე, მაგრამ ხანდახან საკუთარი სიამოვნებისთვისაც წაუცდებათ ხელი.

მართალია, საღამოს ორგანიზატორებს ამ ღონისძიების დევიზზე არ უფიქრიათ, მაგრამ ხათუნა მზარელუას იქვე ექსპორომტად დევიზის შეთხზვა არ გასჭირვებია: "ხანდახან ძალიან ცოტა რამ არის საჭირო ადამიანის გასახარებლად. ჩვენი მიზანიც ეს იყო."

ოთხი წლის წინ "კრისტიან დიორის" ბუტიკის გახსნის ცერემონიალის სამზადისის პროცესში ქართულმა მხარემ ფრანგულ მხარეს სცენარი რომ გაუგზავნა, ასეთი პასუხი მიიღო: ამ სცენარში ქართული არაფერია, რატომ არ არის ჩართული, მაგალითად ქართველი მოცეკვავეების გამოსვლაო. ჩვენებმა თავმდაბლურად აღნიშნეს: ეს ჩვენი პირველი პრეზენტაცია იყო და ქართული ელემენტების შეტანისგან თავი შევიკავეთო.

კვირას "მეტეხში" გამართული საღამო გამოირჩეოდა ქართული მუსიკით, ქართული გართობით და, რაც მთავარია, ფრანგულ ნელსაცხელებლებს შეფარებული ქართული სილამაზით. ამდენს დათო ოძელაშვილმა ნამდვილად ვეღარ გაუძლო, თავისი გამოსვლა რომ დაამთავრა, პირდაპირ აუზში გადაეშვა და ფრანგულ სურნელთაგან "განიწმინდა". ასე დასრულდა "დიორის", "კენზოს", "ჟივანშისა" და "გერლენის" პრეზენტაცია.

პრეზენტაციის ორგანიზატორებმა კეთილი რჩევაც მოგვცეს: "სილამაზე ყველგანაა. მთავარია, შეგეძლოს ამ სილამაზის დანახვა და თუ ამის უნარი გაქვს, იმასაც მოახერხებ, რომ ფრანგული პარფიუმერული და კოსმეტიკური პროდუქციის დახმარებით შენს სილამაზეს უფრო მეტი ხიბლი და მიმზიდველობა, ანუ ფრანგული "შარმი" მიანიჭოო."

წლევანდელი სეზონის მაკიაჟის ფერები კვლავ ცოცხალი და ნათელია. მოდელიერები ქალურ სინაზეს და მიმზიდველობას უსვამენ ხაზს.

ცეკვა სიჩუმეში

"სხედია" თბილისში კუბელ მოცეკვავეებთან ერთად ჩამოვიდა

ვერა ნეფარიძე

ბერძნული საბალეტო დასი "სხედია" თბილისს მეორედ ეწვია. კუბელი მოცეკვავეებით გამდიდრებული დასი დღეიდან ვაკის პარკში ექვსი დღის განმავლობაში ორ სპექტაკლს წარმოადგენს. ბერძენი მოცეკვავეები პროექტის ორგანიზატორებთან ერთად გუშინ გაზეთ "24 საათის" სტუმრები იყვნენ.

"სხედია" თბილისში "ზაფხულის ღამის სიზმარსა" და ბრამსის "მეოთხე სიმფონიას" აჩვენებს. ორივე სპექტაკლი სამი წლის წინათ ათენშია დადგმული, თუმცა თბილისელები მას პირველად ნახავენ. "თავის დროზე ორივე სპექტაკლი დასის საკმაოდ წარმატებული სანახაობა გამოვიდა. იმისათვის, რომ ცეკვები კარგად გავითავისოთ, დროდადრო ვუბრუნდებით ხოლმე ჩვენს წარმოდგენებს." – ამბობს დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი, ანასტასია ლირა. დასის მოსაწვევი შექსპირისეულ ათენში, "ზაფხულის ღამის სიზმარი", ქორეოგრაფიული ფანტაზიაა მენდელსონის მუსიკაზე. დასმა არჩევანი კლასიკურ მუსიკაზე შეაჩერა. "იმდენად დიდია კლასიკური მუსიკის მნიშვნელობა ჩვენთვის, ამის ახსნაც გამიჭირდება. და საერთოდ, არ მესმის რატომ არ არის ეს მუსიკა თანამედროვე? ჩვენი მიზანია, ყველაფერი, რასაც ხელს მოვკიდებთ, მაქსიმალურად თანამედროვე ფორმით გავაკეთოთ." – რამდენად თანამედროვე იქნება თბილისელი მაყურებლისთვის ბერძნულ-კუბური ცეკვა სიჩუმეში, ამას უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში ვნახავთ.

"სხედიას" წელს თბილისელი მაყურებელი განახლებული შემადგენლობით იხილავს. რამდენიმე თვეა, რაც დასი ანსამბლ "დანცა კონტემპორანეა დე კუვას" მოცეკვავეებთან თანამშრომლობს. ისევე, როგორც ყველგან, თბილისშიც "სხედიას" მასშტაბურ, ქუჩის სანახაობებზე დასწრება უფასოა. დასის სამხატვრო ხელმძღვანელი კატეგორიულად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქუჩაში მხოლოდ ჯამბაზები არიან. "რაც უფრო მასშტაბურია სანახაობა, ანუ ქუჩაში, საზოგადოებასთან უშუალო კავშირშია, მით უფრო კარგა და დადებითი შედეგი მოაქვს." – ანასტასია ლირას დასი რამდენიმე წელიწადია ამ პრინციპით მოღვაწეობს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობს. თბილისამდე ბერძნულ-კუბურმა დასმა ბაქოში გამართა წარმოდგენები. მოცეკვავეების თქმით, მაყურებელი ბერძნულ დასს არ აკლია. "ბაქოში ერთმა ქალბატონმა მითხრა, ორმოცდაორი წლის ვარ, ბალეტი არ მინახავს და თქვენ დამანახეთ რა კარგი სანახაობა ყოფილაო, - თუმცა ვერ გეტყვით, რომ ჩემთვის ეს კომპლიმენტი იყო ადამიანისგან, რომელსაც ორმოც წლამდე ბალეტი არ უნახავს" – დასის ქორეოგრაფისთვის მაყურებლის ასეთი რეაქცია მისივე ესთეტიური არჩევანის ლოგიკური შედეგია. ესთეტიურ არჩევანში იგი ქუჩურ წარმოდგენებს გულისხმობს. იმის მიუხედავად, რომ "სხედიას" წარმოდგენების უმრავლესობა დახურულ სივრცეში, სცენაზე იმართება, დასი ყველაზე მეტ სიამოვნებას სწორედ ასეთი, მასშტაბური სანახაობებისგან იღებს: "როდესაც მაყურებელი უფასოდ მიდის სპექტაკლზე, მას არაფერი ავალდებულებს ბოლომდე დარჩეს; ხოლო, როდესაც იგი იხდის დიდ თანხას ბილეთში, მაყურებელი ტაშით უფრო მეტად საკუთარ არჩევანს აჯილდოვებს".

"მართალია, სანახაობაზე დასწრება უფასოა, მაგრამ თავად სანახაობა საკმაოდ ძვირადღირებულია", - გვითხრა ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ათენში ქართული ინსტიტუტის დირექტორმა, ავთანდილ მიქაბერიძემ. ბერძენი და კუბელი მოცეკვავეების თბილისური გასტროლები ინკოგნიტო მეცენატმა, ტიმოლეონმა დააფინანსა. საქართველოს მხრიდან კი, ღონისძიების ორგანიზატორია ფესტივალ "საჩუქარის" დირექცია და თბილისის მერია. გარკვეული წვლილი მიუძღვის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საბერძნეთის საკონსულოსაც. სწორედ ამ ორგანიზაციებისა და კერძო პირების წყალობით, დღეიდან თორმეტ აგვისტომდე ვაკის პარკში, ყოველ საღამოს თანამედროვე ბალეტის ბერძნული დასი "სხედია" ქორეოგრაფიის მოყვარულთა და შემთხვევითი მაყურებლისთვის წარმოდგენებს გამართავს.

ქეთი დოლიძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში
ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვიდეო-კამერის გარეშე გადაღებული ვიდეო-კლიპები

ნესტან ბაგრატიონის მუსიკა უცნაურ ესთეტიკაში

თეონა ჯაფარიძე

რატომ გაუჩნდა პროტესტის გრძნობა 17 წლის ნატო შუშანიას, ქართულ და არა მარტო ქართულ პოპ-კულტურაში უკვე მომრავლებული და დამკვიდრებული ვიდეო-კლიპების დაშტამპული ფორმის მიმართ და როგორ შექმნა ყველასაგან განსხვავებული ესთეტიკა ამ ჟანრში?

ტელეგადაცემა "ჯეო-პოპში" უცნაური ფორმატის ვიდეო-კლიპის პრემიერა შედგა: ნესტან ბაგრატიონის კომპოზიციაზე "უჟამო ჟამი" (ალბომიდან "ექო") შექმნილი ვიდეო ნამუშევარი.

"პროტესტის გრძნობა გამიჩნდა გატლეკილ-გაპრიალებული კლიპების მიმართ. მინდოდა დატეხილი და არაბუნებრივი გამოსახულება მიმეღო" - აცხადებს "ვიდეოს ავტორი.

ეს "დატეხილი" და "არაბუნებრივი" გამოსახულება ნატო შუშანიამ მარტივი მეთოდით, კომპიუტერის საშუალებით ამოძრავებული ფოტოებით მიიღო.

ტექნიკური სირთულეების, ვიდეოეფექტების, კოლოსალური თანხებისა და "პრეზენტაციის" ნაცვლად, ჩვენს წინაშე მარტივი მონტაჟით გადმოცემული დახვეწილი სამყაროა, რომელიც ვიდეო-კამერისა და ვიდეო-კადრების გარეშეა შექმნილი. ეს მუსიკალური ფოტოებია. სიუჟეტი კი საკმაოდ ირეალურია: XIX საუკუნის ფოტოებზე გამოსახული საფრანგეთის პროვინციის ბრეტანის პეიზაჟებისა და ბრეტონელი გლეხების სამყარო, ნესტან ბაგრატიონის თვითმყოფადი ვოკალის თანხლებით. (ცოცხლად შესრულებული საკონცერტო ჩანაწერით.)

ვინც ამ შემსრულებლის ორიგინალურ მუსიკას, შესრულების მანერასა და გარეგნობას იცნობს, ვიდეოს ნახვისას ადვილად შეიგრძნობს კულტურებისა და დროის დახვეწილ სინთეზს, რომელიც ნამუშევარში ერთი ამოსუნთქვითაა გადმოცემული: "ვცდილობდი ნესტანის "უსქესო მუსიკა" კონკრეტიკისაგან გამენთავისუფლებია." აცხადებს კლიპის ავტორი.

" ვიდეომ კი არ გადაყლაპა მუსიკა, როგორც ეს ხდება ხოლმე კლიპებში, არამედ მუსიკისთვის გაკეთდა ვიდეო." - ამბობს მომღერალი.

ნატო შუშანია თავის თავს რეჟისორს არ უწოდებს. ის ჯერ-ჯერობით კლასიკურ მუსიკალურ განათლებას იღებს და ერთი წლის შემდეგ კონსერვატორიაში ვოკალის ხელოვნების დაუფლებას აპირებს. მამამ, მუსიკოსმა დავით შუშანიამ მას კომპიუტერი ახალი მუსიკალური კომპოზიციების შესაქმნელად შეუძინა: - "ნაკლები შეხება მაქვს ელექტრონულ მუსიკასთან. ერთი სული მაქვს კომპიუტერში ფოტო შევიყვანო და ..."

ფოტოებითა და კომპიუტერით ნატომ კიდევ ერთი საინტერესო ექსპერიმენტი შექმნა: - მეორე კლიპი ლოიდ კოულის კომპოზიციაზე ANDI`S BABIES-ზეა ("ენდის ბავშვები") შექმნილი. ტრდიციული ვიდეო გამოსახულების მაგივრობას აქ XX საუკუნის სიმბოლოების შემქმნელის, ენდი უორჰოლის ცნობილი ფოტოები და ნახატები ასრულებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთდროულად ორიგინალური ვიდეო-კლიპი და ენდი უორჰოლის მუსიკალური გამოფენაა.

ფეხბურთი

„რეალის„ ტურნირი „ბაიერნის„ ტრიუმფით დასრულდა

"ბაიერნის" ფეხბურთელები თასით ხელში REUTERS

აკა ტონია

კვირას, 4 აგვისტოს, მადრიდის "რეალის" 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართული ოთხთა ტურნირი მიუნხენის "ბაიერნის" გამარჯვებით დასრულდა. "ბაიერნისა" და მასპინძელი "რეალის" გარდა, ტურნირში მონაწილეობდნენ იტალიის "მილანი" და ინგლისის "ლივერპული".

პირველ მატჩში მადრიდელებმა "ლივერპულს" სძლიეს (2:0), "ბაიერნმა" კი "მილანი" დაამარცხა, ანგარიშით 2:1.

ტურნირის მესამე საპრიზო ადგილი "ლივერპულმა" დაიკავა. ინგლისელებმა მესამე ადგილისათვის მატჩში "მილანი" დაამარცხეს, ანგარიშით 2:1.

ფინალურ შეხვედრაში, შესაბამისად "რეალი" და "ბაიერნი" ერთმანეთს შეხვდნენ. ეს მატჩი, მადრიდელთათვის, წლევანდელი სეზონის მესამე იმედგაცრუებაა. გასული სეზონის დაწყების წინ ესპანელები, თავიანთი 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ყველაფრის მოგებას აპირებდნენ, მაგრამ გეგმების განხორციელება ვერ შეძლეს. "სამეფო კლუბმა" ვერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ქვეყნის თასის ფინალში დამარცხდა. ერთადერთი რისი მოგებაც მადრიდელებმა შეძლეს, ეს ჩემპიონთა ლიგაა.

კვირას "რეალმა" კიდევ ერთი დამარცხება იწვნია. საკუთარ იუბილესთან დაკავშირებით შემდგარ ტურნირზე, მადრიდელებმა "სანტიაგო ბერნაბეუს თასი" მიუნხენის "ბაიერნს" დაუთმეს.

ანგარიში შეხვედრის 27-ე წუთზე, თერთმეტმეტრიანი დარტყმით მიხაელ ბალაკმა გახსნა მას შემდეგ, რაც "რეალის" მცველმა მიჩელ სალგადომ ასევე ბალაკის მიერ დარტყმული ბურთი ხელით მოიგერია.

64-ე წუთზე ჰასან სალიამიდჟიჩმა ანგარიში ორამდე გაზარდა. შეხვედრის მიწურულს, ასევე თერთმეტმეტრიანი დარტყმით (83-ე წ.), ლუიშ ფიგუმ პრესტიჟის გოლი გაიტანა.

"რეალმა" არცთუ ისე დამაჯერებელი შთაბეჭდილება დატოვა, სეზონის დაწყებამდე მადრიდელებმა თამაშს აშკარად უნდა მოუმატონ. მეტოქისგან განსხვავებით, საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატის სტარტამდე (9 აგვისტო), რამდენიმე დღით ადრე, "ბაიერნმა" ბრწყინვალე რეპეტიცია გაიარა. განსაკუთრებით დიდი ქება დაიმსახურა ახლად გადმოსულმა ბალაკმა. მატჩის შემდეგ, მიუნხენელთა მწვრთნელი ჰიტცფელდი იმასაც კი ამბობდა, რომ ბალაკი არაფრით ჩამოუვარდება ზიდანს. ვიცე-პრეზიდენტმა რუმენიგემ კი განაცხადა, რომ "სანტიაგო ბერნაბეუ"-ზე გამართულ ტურნირზე, "ბაიერნი" კლუბის ისტორიაში საუკეთესო შემადგენლობით წარსდგა. აღსანიშნავია, რომ ტრავმების გამო მიუნხენელთა რიგებში ვერ ითამაშეს კლუბში ახლად გადმოსულმა ზე რობერტომ და სებასტიან დაისლერმა.

"მილანის" რიგებში, რომელმაც ტურნირზე ორივე მატჩი წააგო და ბოლო ადგილზე გავიდა, არ თამაშობდა ახალი შენაძენი რივალდო. ბრაზილიელი ვარსკვლავი მატჩებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

შეუამხანაგდება გაზა ქართველებს?

ჰაატა თოთაძე

პოლ (გაზა) გასკოინი კარიერას ბრიტანეთში, სავარაუდოდ, შოტლანდიურ "დანდიში" გააგრძელებს.

გაზას წარუმატებელი ამერიკული ვოიაჟის შემდეგ, "დანდის" ხელმძღვანელობა მაშინვე დაუკავშირდა ფეხბურთელის აგენტს ლენ ელიოტს - გასკოინის "დანდიში" გადასვლის თაობაზე. ჯერჯერობით არ არის გარკვეული, რა პირობებს სთავაზობენ შოტლანდიელები ფეხბურთელს, მაგრამ ცნობილია, რომ კონტრაქტი ერთწლიანი იქნება. გასკოინიც თანახმაა, რომ შოტლანდიაში ითამაშოს. მოკლედ, ყველაფერი დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომელსაც შოტლანდიელები შესთავაზებენ ფეხბურთელს.

ინგლისელი ნახევარმცველის გადაბირების სურვილი იაპონური ჯეი ლიგის "იოკოჰამასაც" აქვს, მაგრამ თავად ფეხბურთელს არ ხიბლავს იაპონიაში თამაშის პერსპექტივა, მიუხედავად იმისა, რომ იაპონური კლუბის ხელმძღვანელობა, სავარაუდოდ, "დანდიზე" უკეთეს პირობებს შესთავაზებს. როგორც ვარაუდობენ, ცუდი პირობები არც ამერიკულ "DC United"-ს უნდა შეეთავაზებინა, თანაც ორივე მხარე ყველაფერზე შეთანხმდნენ. ამიტომაც გაუგებარია, რა იყო მიზეზი, რამაც ფეხბურთელი აიძულა, ბრიტანეთში დაბრუნებულიყო.

ასეა თუ ისე, გასკოინი შოტლანდიაშია და ადვილი შესაძლებელია, ქართველებთან ერთად, უკვე მომავალი კვირიდან შეუტიოს "დანდის" მეტოქეებს.

ჟორდანია და პატარკაციშვილი დამეგობრდნენ

მიხეილ აბაიშვილი

დღეს შვეიცარიაში გაემგზავრებიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია. ციურიხში სფფ-ს ხელმძღვანელები ფიფა-ს შეფებს შეხვდებიან. მოგეხსენებათ, სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატებს შორის დაპირისპირება სამოქალაქო სასამართლომდე მივიდა. ფიფა კი ყოველ ასეთ შემთხვევას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. სფფ-ს პირველი პირების გამოძახებაც სიტუაციაში კარგად გარკვევის მიზნით არის განპირობებული.

მერაბ ჟორდანია

ბადრი პატარკაციშვილი

მერაბ ჟორდანია: ფიფა-ს ეროვნულ ასოციაციათა კომიტეტს რამდენიმე დღის წინ გავუგზავნეთ მასალები მომავალ ყრილობასთან და არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ კომიტეტის თავმჯდომარე და ამავე დროს, ფიფა-ს აღმასკომის წევრია ვიაჩესლავ კოლოსკოვი, ვისთანაც ყოველდღიური სატელეფონო კონტაქტი მაქვს. სხვათა შორის, კომიტეტის ერთ-ერთი წევრი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრეგორი სურკისიცაა. ფიფა-ს კომიტეტი შეისწავლის სასამართლოსთან დაკავშირებულ სიტუაციას და მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც, როგორიც არ უნდა იყოს იგი, სფფ აუცილებლად შეასრულებს. როგორც წესი, ფიფა ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის საქმეებში სამოქალაქო სასამართლოს ჩარევას მტკივნეულად აღიქვამს. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ამ სიტუაციაში ფიფა-მ სახელმწიფოს მხრიდან ფედერაციის საქმეებში ჩარევის მცდელობა დაინახოს. არც მსურს იმაზე საუბარი, ასეთ შემთხვევებში, ჩვენს წინააღმდეგ როგორი სანქციები გატარდება. ჩემი და ვალერი ჩოლარიას ვიზიტიც იმ მიზანს ემსახურება, რომ ფიფა-ს წესდებასა და საქართველოს კანონმდებლობას შორის კომპრომისი მოვნახოთ და საჯარიმო სანქციები ავიცილოთ. მეორეს მხრივ, თუ საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებას არ შევასრულებთ, დადგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. მაგრამ მერწმუნეთ, ფიფა-ს საჯარიმო სანქციებს ისევ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მირჩევნია და თუ კომპრომისი არ გამოინახება და არჩევანი იქნება გასაკეთებელი, ფიფა-ს გადაწყვეტილებას შევასრულებთ.

- თქვენ რამდენიმე დღის წინ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს შეხვდით. იგი თქვენს მთავარ კონკურენტს, დავით პეტრიაშვილს უჭერს მხარს. რა თემაზე გქონდათ საუბარი?

- საუბრის დეტალების გამომზეურებისგან თავს შევიკავებ. თუმცა, იმას ვიტყვი, რომ საკმაოდ კონსტრუქციული და საქმიანი შეხვედრა გვქონდა, რომლის დროსაც დავრწმუნდი, რომ ბადრი პატარკაციშვილს რაიმე პირადი მიზანი არ ამოძრავებს და ჭეშმარიტად შესტკივა გული ქართულ ფეხბურთზე. ბატონმა ბადრიმ უკვე ბევრი კარგი საქმე გააკეთა საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის. სამწუხაროდ, ჩვენი შეხვედრა ძალზე დაგვიანებული იყო და მას წინ უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი უსწრებდა. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ გადავწყვიტეთ, ამ შეხვედრის შემდეგ ვითანამშრომლოთ და უფრო მეტიც, ვიმეგობროთ კიდეც.

- ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ბადრი პატარკაციშვილი თქვენი გუნდის წევრი გახდა, ან პირიქით?

- ბადრი პატარკაციშვილი არ არის ის პიროვნება, ვინც ასეთ გადაწყვეტილებას ერთი შეხვედრის შემდეგ, ნაჩქარევად იღებს. მაგრამ, როგორც არ უნდა დასრულდეს 24 აგვისტოს ყრილობა და არჩევნები, მე მაინც ფეხბურთში დავრჩები. ბატონი ბადრიც იმავეს აპირებს და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ნაყოფიერი თანამშრომლობა გვექნება.

ყველა გზა რომში მიდის, რონალდოსი კი - მადრიდში

აკა ტონია

გუშინ, ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა რონალდომ ოფიციალურად აცნობა მასიმო მორატის, რომ "ინტერის" მიტოვება სურს. ფეხბურთელის მენეჯერებმა მადრიდის "რეალთან" უკვე მიაღწიეს შეთანხმებას, ახლა კი კლუბებს შორის დაიწყო მოლაპარაკებები. მხარეები სავარაუდო სატრანსფერო თანხების დასახელებას შეუდგნენ. "ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი აცხადებს, რომ რონალდოს გაყიდვას არ აპირებს და თუ ეს მოხდება, გამოსასყიდი თანხა, მინიმუმ, 100 მილიონი ევრო იქნება.

რონალდო REUTERS

მადრიდელთათვის ეს ნაცნობი ტაქტიკაა

თავის დროზე, იმავეს ამბობდნენ "იუვენტუსისა" და "ბარსელონას" ხელმძღვანელები, როდესაც მადრიდელებმა გადაწყვიტეს ზიდანისა და ფიგუს შეძენა. მაგრამ დღეს ორივე ფეხბურთელი "რეალის" ღირსებას იცავს. "სამეფო კლუბის" ხელმძღვანელებმა კარგად იციან, რომ შეიძლება იმ ფეხბურთელების ყიდვაც, რომლებიც, ვითომცდა, არ იყიდებიან.

მიუხედავად რონალდოს შეძენის დიდი სურვილისა, მადრიდელებს 100 მილიონის გადახდა ნამდვილად არ სურთ. ფეხბურთელის სანაცვლოდ, "რეალი" მილანელებს 40 მილიონ ევროს და ნახევარმცველ კლოდ მაკელელეს სთავაზობს.

ესპანური პრესა იუწყება, რომ "ინტერი" მაკელელეს გადასვლაზე თანახმაა, მაგრამ შემოთავაზებული თანხა ეცოტავება და დამატებით 20 მილიონს ითხოვს.

"რონალდოს "ინტერიდან" წასვლა სურს"

როდესაც "ინტერი" თავის პირობებს ასახელებს, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ თავად ფეხბურთელს სურს კლუბის მიტოვება. "რეალი" კი ერთადერთი გუნდია, რომელიც მზად არის, რონალდოს სანაცვლოდ, სოლიდური თანხა გაიღოს.

"ინტერთან მას ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ გუნდიდან წასვლა უკვე გადაწყვიტა. ოთხი წელია, რაც რონალდო "ინტერშია", მაგრამ ის აქ ბედნიერი არ არის და მიაჩნია, რომ მომავალშიც არაფერი შეიცვლება. სწორედ ამის გამო სურს მას კლუბიდან წასვლა", - განაცხადა თავდამსხმელის მენეჯერმა ალეშანდრე მარტინსმა.

კუპერს რონალდოს წასვლა არ აღელვებს

"ინტერის" არგენტინელ მწვრთნელს, ჰექტორ კუპერს რონალდოს წასვლა დიდად არ აღელვებს. კუპერმა უკვე გააკეთა არჩევანი: მისი ფავორიტი №9-ზე ისედაც კრისტიან ვიერია.

ცნობილია, რომ კუპერმა მასიმო მორატის ურჩია, რომ თავისუფლად შეუძლია, რონალდოს გაყიდვასთან დაკავშირებით, ყველა წინადადება განიხილოს.

ევროპა მორიგ სუპერ-ტრანსფერს ელის

რონალდოს "რეალში" გადასვლა დღითი დღე რეალური ხდება. თითქოსდა, ხმაურიანი ტრანსფერების გარეშე დაწყებული სატრანსფერო ზაფხული, ალბათ, უხმაუროდ მაინც ვერ ჩაივლის.

მადრიდელებს კრისტიან ჩივუს, ლუსიოს და ალესანდრო ნესტას შეძენის სურვილი გაუქრათ, "რეალი" მხოლოდ რონალდოზე არის კონცენტრირებული. ეს, ალბათ, გამართლებულიც არის, რადგან მადრიდელ გულშემატკივრებს მხოლოდ და მხოლოდ სუპერვარსკვლავები აინტერესებთ.

საწყლოსნო სპორტი

ცალკარა ჩემპიონატი

ბარიში მიმდინარე ჭაბუკ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე ქვეჯგუფის პირველივე მატჩში ქართველ წყალბურთელთა ნაკრები პირწმინდად დამარცხდა. დამარცხებაცაა და დამარცხებაც. ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალის დასრულებისთანავე, "სტადიო დელ ნუოტოს" ღია აუზში მაყურებელი ცალკარა თამაშის მოწმე გახდა, რაც ოთხი მეოთხედის განმავლობაში გაგრძელდა. ჩვენმა ჭაბუკებმა ერთხელაც ვერ შეძლეს მეტოქის კარის აღება მაშინ, როდესაც ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ასეთი რამ 19-ჯერ (0:6, 0:6, 0:4, 0:3) მოახერხეს. რუსებთან მატჩის შემდეგ გარდაუვალი ჩანდა უნგრელებთან მარცხიც. თამაში აქაც ცალკარად წარიმართა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გადავრჩით პირწმინდად წაგებას. ჩვენმა გუნდმა პირველი და მეორე მეოთხედების აუზის უბურთოდ დატოვების შემდეგ (0:5, 0:6), შედარებით გაფაფხურდნენ და მესამე მეოთხედში ჩემპიონატზე პირველი ბურთი 19-ე წუთზე შეაგდეს, თუმცა, სანაცვლოდ რვა მივიღეთ. აი, ბოლო მეოთხედში კი სამი ბურთით გამოვიჩინეთ თავი, მაგრამ რა? 2001 წლის ევროპის ჩემპიონმა უნგრეთის ნაკრებმა ერთით მეტი მაინც გაგვიტანა.

ევროპული წყალი კალატოტში ჩადგა

გიგა გურასაშვილი

ოტილია იედრეიჟაკი REUTERS

იყო დრო, როდესაც გერმანია ცისფერი ბილიკების ბატონ-პატრონი გახლდათ. ბოლო ათი წლის განმავლობაში კი მათ მმართველობა დაკარგეს და ისღა დარჩენოდათ, რომ ერთმანეთთან ეპაექრათ. ეტყობა, წარუმატებლობები წარსულს ჩაბარდა.

ვიდრე საწყლოსნო სახეობათა ევროპის ჩემპიონატი ასპარეზობათა მორევში გადაეშვებოდა, ჩემპიონატის მასპინძლებმა განაცხადეს, რომ გუნდურ პირველობას არავის დაანებებდნენ. გერმანიამ დანაპირები აასრულა. ბერლინის ევროპის პირველობაზე მასპინძლებმა ძველი დიდება გაიხსენეს და აკი, მთლიანობაში, 36 სხვადასხვა სინჯის მედალი დაისაკუთრეს, აქედან 15 ჩემპიონის საკადრისია.

"გერმანიისთვის ჩემპიონატი განსაკუთრებული გამოდგა. საკუთარი თავი საოცრად წარმოვაჩინეთ. მეამაყება ჩემი ნაკრების, განსაკუთრებით კი ის მახარებს, რომ მათ ბერლინის კედლის დანგრევიდან 12 წლის შემდეგ, გერმანია ერთ მუშტად შეკრეს",- სიხარულს ვერ ფარავს მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელი რალფ ბეკმანი.

გერმანელებს უხარიათ "ოქროს" გოგონას, ფრანცისკა ვან ალმსიკის გამოცოცხლებაც. მან ჩემპიონატის დასკვნით დღესაც შეძლო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიდან გადმოხედვა. მას გვერდს უმშვენებდნენ თანაგუნდელები: ანტიე ბუშულტე, სიმონ ვეილერი და სანდრა ფიოლკერი, რომლებმაც 4x100 კომბინირებულ ესტაფეტაში ევროპის რეკორდი დაამყარეს - 4.01,54.

უჩვეულოდ წარიმართა სპრინტერთა პაექრობა. მაშინ, როდესაც 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ორთაბრძოლისთვის კბილებს ილესავდნენ ამ სახეობის ფავორიტები პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი და ალექსანდრ პოპოვი, ყველაფერი საპირისპიროდ წარიმართა.

"ჩემი მიზანი იყო, რომ პოპოვი დამემარცხებინა და ეს შევძელი კიდეც", - ასპარეზობის შემდეგ ირონიულად იტყვის ჰუგენბანდი.

ჰუგენბანდიც და პოპოვიც საპრიზო ადგილებს ასცდა. ჰოლანდიელი - მეოთხეზე, ხოლო რუსი მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. აქამდე უტიტულო პოლონელი ბარტოშ კიზიეროვსკი კი ვეშაპებთან ჭიდილში საუკეთესო აღმოჩნდა - 22,18. ახლანდელი "ოქრო" მისთვის პირველი დიდი ჯილდოა, რომელიც კი ოდესმე მოუპოვებია.

და მაინც, კონტინენტის პირველობის ბოლო დღის მთავარი მშვენება მსოფლიოს რეკორდი გახლდათ. თანამემამულე კიზიეროვსკის წარმატებით აღფრთოვანებულმა ოტილია იედრეიჟაკმა ქალთა შორის 200 მეტრზე ბატერფლაით ამერიკელი სუზან ონილის მიერ 2000 წლის მაისში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი - 2.05,81 დაამხო -2.05,78.

"ვიცოდი, რომ კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ შედეგმა მაინც მოლოდინს გადააჭარბა,"-განაცხადა იედრეიჟაკმა.

შეგახსენებთ, რომ ეს უკვე ჩემპიონატის მეხუთე მსოფლიოს საუკეთესო შედეგია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამი წლის წინათ აგებულმა ბერლინის საცურაო კომპლექსმა უფრო განიმტკიცა მსოფლიოს ერთ-ერთი უსწრაფესი აუზის სახელი.

რალი

ტრიუმფი „ბულგარეთი 2002„-ზე

გუშინ, ბულგარეთში, ევროპის ჩემპიონატის მორიგი ეტაპი გაიმართა ავტორალიში. რბოლაში მონაწილეობდა 56 ეკიპაჟი, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფებში განაწილდნენ. ორდღიანი რბოლა ქართველ რალისტთა დიდი წარმატებით დასრულდა. N-4 ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა ვიქტორ თოდაძისა და ვიქტორ ბაგრამოვის ეკიპაჟმა, რომელიც ავტომანქანა Mitsubishi Lancer EVO-7-ით ასპარეზობდა. საერთო ჩათვლაში კი ჩვენმა ეკიპაჟმა მე-5 ადგილი დაიკავა. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის გენერალური მდივნის შალვა ობგაიძის თქმით, ვიქტორ თოდაძე და ვიქტორ ბაგრამოვი ბულგარეთიდან უკვე გამოემგზავრნენ და, სავარაუდოდ, თბილისში ოთხშაბათს ან ხუთშაბათს დაბრუნდებიან. აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში, საქართველო ევროპის ჩემპიონატის მომდევნო ეტაპს უმასპინძლებს.

დიუსელდორფის ბაზრობა

მათ, ვისაც ზაფხულში საუკეთესოდ ჩაცმა-დახურვის სურვილი აქვთ, დიუსელდორფის ბაზრობაზე დიდებული შანსი ეძლევათ - CPD Woman&Man-ზე მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის უზარმაზარი არჩევანია. ბაზრობაში 39 ქვეყნის 2000-მდე წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას. კოლექციები 2003 წლის გაზაფხულსა და ზაფხულს ეძღვნება.

წარმოდგენილ სახელებს შორის იქნება იტალიის საოჯახო საწარმო "ბრიონიც", რომლის უფროსს, უმბერტო ანჯელონის, საზეიმოდ გადაეცა ჯილდო European Fashion Diamond 2002, "მსოფლიოში ევროპული მოდის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის".

თორმეტი წელია, რაც ანჯელონის ცხოვრება განუყრელადაა მოდასთან დაკავშირებული. 50 წლის წინათ დაფუძნებული "ბრიონის" ფირმის ტანისამოსი, მისი წყალობით, ყოველი მომხმარებლისათვის სასურველი და პრესტიჟული გახდა. მხოლოდ რამდენიმე მუდმივი კლიენტის ჩამოთვლაც საკმარისი იქნება: გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი, დაიმლერ-კრაისლერის ხელმძღვანელი იურგენ შრემპი, ფედერალური კანცლერი გერჰარდ შრიოედერი, სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა. ჯეიმს ბონდიც კი უკანასკნელ ფილმში ბრიონის ფირმის ტანსაცმელში მოგვევლინება.

ბაზრობის დამთვალიერებლებს შეუძლიათ სათანადოდ მოემზადონ მომავალი წლის ზაფხულისათვის. ქალბატონების საყურადღებოდ: მოდაში იქნება თეთრი ტილოს ტანსაცმელი, ბოშური მოტივები, დიდი დეკოლტე, სწორი შარვლები. 60-იანი და 70-იანი წლების მოდაც აქტუალური ხდება: შხამიანი ყვითელი და მწვანე და იასამნისფერი ტონები, დიდი ყვავილები და ფერად-ფერადი, კოპლებიანი კაბები.

მელ გიბსონის ახალი ჰიტი

სათავგადასავლო თრილერმა Signs, რომელშიც მთავარ როლს მელ გიბსონი თამაშობს, ამერიკელი კინომაყურებელის დიდი აღტაცება გამოიწვია. ფილმის პრემიერა პარასკევს შედგა, ხოლო კვირა საღამოს ცნობილი გახდა პირველი შედეგები: საშინელებათა და, ამავე დროს, ძალიან სასაცილო ფილმის ჩვენებამ უკვე 60,3 მილიონი დოლარი მოიტანა.

მეფე სასახლეში დაბრუნდა

ავღანეთის ყოფილი მეფე, 87 წლის ზაჰირ შაჰი, ქაბულში მეფის სასახლეში დაბრუნდა. 29 წლის წინათ განდევნილ ხელმწიფეს დღეს ქვეშევრდომებისიხარულით ეგებებიან: "მოხარულნი ვართ, რომ დაგვიბრუნდა და დარჩენილ წლებს ჩვენთან გაატარებს."-ამბობენ ისინი.

მონღოლეთში 54-მეტრიან ჩინგისხანს დადგამენ

მონღოლეთში დამთავრდა კონკურსი, რომელსაც ჩინგისხანისადმი მიძღვნილი საუკეთესო მემორიალური კომპლექსის პროექტი უნდა გამოევლინა. კომპლექსი ულან-ბატორის ცენტრში არსებულ დასვენებისა და კულტურის პარკში აშენდება და ყველაზე გრანდიოზული ნაგებობა იქნება მონღოლეთის დედაქალაქში. წრიული კოლონადის ცენტრში აღიმართება 54-მეტრიანი ჩინგისხანის ქანდაკება. მემორიალის აშენებას 19 მილიონი დოლარი დასჭირდება. არქიტექტორულ კომპლექსში შევა ისტორიული მუზეუმები, წარმოდგენილი იქნება 37 მონღოლელი ხანის ცხოვრების და მმართველობის ამსახველი მასალა. გამარჯვებული ავტორების ჩანაფიქრით, მემორიალური კომპლექსი ნაციონალური ხუროთმოძღვრების ტრადიციებს და თანამედროვე არქიტექტურის მიღწევებს გამოიყენებს.

წელს მონღოლეთი ჩინგისხანის დაბადების 840-წლისთავს აღნიშნავს. საიუბილეო დღესასწაული და მემორიალური კომპლექსის ფუნდამენტის მშენებლობა მაისში დაიწყო.

ეძღვნება პრინცესა დაიანას

ლონდონის ჰაიდ პარკში, ხუთი წლის წინათ დაღუპული პრინცესა დაიანას ხსოვნის უკვდავსაყოფად, შადრევანი გაკეთდება. მრავალწლიანი კამათის შემდეგ კონკურსში შეერთებული შტატების ლანდშაფტის არქიტექტორთა ჯგუფმა გაიმარჯვა. შადრევანი 2003 წლის აგვისტოში უნდა იყოს მზად. პროექტის ღირებულება სამი მილიონი გირვანქა სტერლინგია.

ელცინს დაეხმარნენ, შვარცენეგერსაც დაეხმარებიან

მელორ სტურუა
სან ქორ. აშშ


არნოლდ შვარცენეგერი

როგორც ჩანს, არნოლდ შვარცენეგერს კუნთების თამაში მობეზრდა და ახლა პოლიტიკოსობა მოუნდა. მის მუსკულტურას თუ გავითვალისწინებთ, ეტყობა, მაგარ თამაშს იწყებს. ტერმინატორს კალიფორნიელი დემოკრატების მმართველობის ტერმინირება და მათი წარმომადგენლის გუბერნატორის სავარძლიდან ამოგდება აქვს ჩაფიქრებული. ამის ხათრით შვარცენეგერი, შესაძლოა, ჰოლივუდის მიტოვებასაც არ მოერიდოს და შტატის დედაქალაქში, პროვინციულ საკრამენტოში დასახლდეს. უფრო მეტიც, არნი მზადაა, სამუდამოდ გაეყაროს თავის მეუღლეს - მარია შრაივერს, რომელიც კენედების შთამომავალი და დემოკრატიული ისტებლიშმენტის წევრია. ამიტომაც, თავისი კონსერვატული რესპუბლიკელი ქმრის აგიტაციის მიზნით, მთელ კალიფორნიას ნამდვილად არ მოივლის.

თავდაპირველი მონახაზების მიხედვით, ტერმინატორი ამ თამაშში წელსვე უნდა ჩაბმულიყო. აშშ-ს გუბერნატორთა ნაციონალური ასოციაციის ბოლო შეკრებაზე რესპუბლიკელმა გუბერნატორებმა გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ შვარცენეგერს, რომელიც რეიგანისგან ნაანდერძევ გზას ადგას. რეიგანის პოლიტიკური კარიერაც ხომ კალიფორნიის გუბერნატორობით დაიწყო. ვინაიდან "ბოროტების იმპერია" უკვე ისტორიის სანაგვეზეა გადაგდებული, არნოლდს ისღა დარჩენია, თავის ცნობილ "სკოლისშემდგომ ალიანსს" - ცხოვრების ყვავილებზე - ბავშვებზე ზრუნვას "მიაწვეს". თითქოს ყველაფერი მშვენივრად აეწყო, მოარული ხმებიც კი დაირხა არნისა და პროფესიით ტელეჟურნალისტი მარია შრაივერის გაყრის შესახებ. მაგრამ, მოულოდნელად შვარცენეგერმა წინასაარჩევნო ბატალიების მომდევნო ციკლამდე - 2006 წლამდე გადადება გადაწყვიტა.

რა მოხდა? ნუთუ ბოლო წუთებში რაიმემ დაამუხრუჭა ტერმინატორი? რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, უფრო მეტი ფულის შოვნა გადაწყვიტა, საარჩევნო კამპანიისთვის კი არა, თავისთვის. საქმე ისაა, რომ არნოლდს "ტერმინატორი-3 - მანქანების აჯანყებაში" გადაღება შესთავაზეს და 30-მილიონიან ჰონორარს დაჰპირდნენ. ასეთ თანხაზე კი გონიერი ამერიკელები, მითუმეტეს კონსერვატული რესპუბლიკელები, უარს არ ამბობენ.

წინასწარი გრაფიკის მიხედვით, "ტერმინატორი-3" ეკრანებზე 2003 წლის 2 ივლისს უნდა გამოვიდეს, რაც არნოლდს, ფულის გარდა, ოდნავ მიმქრალ პოპულარობასაც დაუბრუნებს. ამ ახალი ფილმის გადაღების პროცესს რომ დავაკვირდეთ, ჩანს, რომ ეს წინასაარჩევნო მოთელვის მშვენიერი საშუალებაა. ფილმის საწყისი ბიუჯეტი 175 მილიონ დოლარს შეადგენდა. თანხა ჰომერულია, მაგრამ ამ გიგანტმა მაინც ვერ იმყოფინა. ძვირადღირებული გადაღებებისა და სპეცეფექტების გამო ხარჯი 200 მილიონამდე და მეტადაც გაიზარდა. პროდიუსერები აღელდნენ, მაგრამ შვარცენეგერის დაოკება შეუძლებელი იყო, თითქოს ამით თავის პოლიტიკურ პროდიუსერებს ანიშნებდა: საარჩევნო კამპანია ძვირი დაჯდება, მოემზადეთ და ნუ იძუნწებთო!

განსაკუთრებით ძვირი დაჯდა კარ-ჩეიზის სცენა, რაც მანქანებით რბოლას ნიშნავს და ურომლისოდაც არც ერთი ღირსეული "ბოევიკი" არ იქმნება. სასცენარო გეგმის მიხედვით, კარ-ჩეიზის სცენის გადაღებას ექვსი კვირა ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, ასობით ავტომობილის მოპოვება და ათასი სტატისტის მოწვევა იყო აუცილებელი, თანაც ლოს-ანჟელესის მთელი საქალაქო ტრანსპორტის დროებით პარალიზება. არცთუ ცუდი სამზადისია არჩევნებისთვის, რომელიც იგივე კარ-ჩეიზია, ანუ რბოლა, თანაც მხოლოდ ლოს-ანჟელესის კი არა, მთელი კალიფორნიის მასშტაბით.

არადა, საქმე მთლად სახალისოდაც არ იყო. ვიდრე სცენარისტები, რეჟისორები და პროდიუსერები კარ-ჩეიზის სცენის ისეთნაირად გადაკეთებას ცდილობდნენ, ცოტაოდენი თანხის დაზოგვა მაინც რომ მოეხერხებინათ, სტატისტების დროებით დათხოვნა მოუხდათ, რის გამოც ამ უკანასკნელებმა ხელფასი დაკარგეს. ბუნებრივია, ამას მათი უკმაყოფილება მოყვა. ჟურნალი "სტარი" ერთი მათგანის სიტყვების ციტირებას ახდენს: "არნის შეუძლია, საერთოდ არ იფიქროს, მომავალში რას შეჭამს, ჩვენთვის კი ეს გადაღება ან მოსავალს უდრის, ან გვალვას. ჩვენი ანგარიშით, "ტერმინატორი-3" ექვსი თვის სარჩოს მაინც მოგვცემდა". ასე რომ, შვარცენეგერს 2006 წლის არჩევნებში, შესაძლოა, ამ სტატისტების ხმებიც დააკლდეს და საერთოდ, სხვა პროფკავშირელი ამომრჩევლებისაც, რომლებიც დემოკრატებს მეტ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე რესპუბლიკელებს, მითუმეტეს კონსერვატულ რესპუბლიკელებს.

- ეს ყველაფერი ფრიად საინტერესოა, ოღონდ ელცინი რაღა შუაშიაო, - იკითხავთ, ალბათ, თქვენ. სწორედ ამ საკითხს ვუახლოვდებით. იქაური ზიუგანოვებისგან საღერღელაშლილი ჰოლივუდის პროლეტარიატის დრტვინვის მიუხედავად, ექსპერტებს მაინც მიაჩნიათ, რომ არნი საკრამენტოში თეთრ ცხენზე ამხედრებული, გამარჯვების სიგარის ბოლებ-ბოლებით შევა (იგი ან ჩერჩილს ბაძავს, ან კასტროს, ალბათ, უფრო პირველს - ტერმინატორის პოლიტიკური შეხედულებების გათვალისწინებით). მას წარმატებისკენ მიმავალი გზა რესპუბლიკელთა ცნობილმა სარეკლამო ფირმამ - "დრეზნერ ვიკერსი და მეგობრებმა" უნდა გაუკვალოს. ამ შემთხვევაში ზიუგანოვმა კი არა, კომპანიამ. ეს სწორედ ის ძვირადღირებული ფირმაა, რომელიც რუსმა ოლიგარქებმა ბორის ელცინისთვის დაიქირავეს, რათა კრემლი ბოლშევიკებისგან დაეცვათ. რიჩარდ დრეზნერმა და ამხანაგებმა მართლაც იზრუნეს, რომ კრემლში ბოლშევიკი ამხანაგები არ შეეშვათ და ამ საქმეში მთავარ დამსახურებას საკუთარ თავს მიაწერენ.

დრეზნერი ამჯერადაც ამბობს: "სტატისტებს მოვერევით! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!" სამწუხაროდ, მისთვისაც და შვარცენეგერისთვისაც ტერმინატორის გამარჯვებული სვლა საკრამენტოში დასრულდება. შემდგომი ნაბიჯები, რეიგანისეულად, ვაშინგტონისკენ, თეთრი სახლის დაპყრობის მიზნით, აღარ გადაიდგმება. არნი ავსტრიაშია დაბადებული, აშშ-ს კონსტიტუციის მიხედვით კი ქვეყნის პრეზიდენტობის უფლება მხოლოდ შტატებში დაბადებულებს აქვთ. თანაც, საეჭვოა, რომ იანკებმა გერმანული აქცენტით მოლაპარაკე პრეზიდენტი აირჩიონ. აქ უკვე დრეზნერი და მისი კომპანიაც ვერაფერს გახდებიან. მოკლედ, როგორც ტერმინატორის ცნობილ რეპლიკაშია ნათქვამი: "Hasta la vista, baby!"

მინეაპოლისი, აშშ.
ივლისი 2002 წ.

სკანდინავიური კროსვორდი



TV პროგრამა 6 აგვისტო

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 გრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და გიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "მექსიკელი" მთ.როლებში ჯულია როგერტსი, ბრედ პიტი

პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30 მოამგე
08.10 "დღესასწაულის მიწა"
08.35 სერიალი "კობრა"
09.20 მულტსერიალი "საგრალონი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოატრული
13.00 ქართ. ფილმი "პირველი მერცხალი"
14.10 ლერერის შოუ
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. გერმანია - პარაგვაი (განმეორებითი ჩვენება)
17.15 "საწინდარი"
17.45 "ერთი თეთრიც ფულია"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 სიტყვა კაზმული
19.40 ბასტი - ბუბუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "ტალანტები და თაყვანისმცემლები"
22.20 მხ.ფ. "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ"
00.10 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.40 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
01.00 სერიალი "კობრა"

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამგე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ჯილიანი დაბადების დღეზე"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "იაგუანის ღამე"

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00, 23.00 სერიალი "მოჭალაქე უფროსო"
18.30 სერიალი "გაზაფხულის ჩვიტდმეტი გაელვება" 1-ლი სერია
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
00.15 მხ.ფ. "სატყუარა"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "მზის დევნაში"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამგები
10.15 ბურთი და მოედანი
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ.ფ. "მე აფრკაზე ვოცნებობ"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "უკანმოუხედავად"
22.30 ძველი კინო "ტაქსისტი"
00.50 ღამის ფილმი

პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 "ტოროლა"
11.30 "მო" განმეორებით
13.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
13.45 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "პირომანიაკი - სიყვარულის ისტორია"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძირობანა
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მესამე ზედმეტია". მთ. როლებში ლიუკ უილსონი, დენიზ რინარდსი
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "მდიდრული ცხოვრება". მთ. როლებში კეტლინ რობერტსონი, ჯონათან შეეკი
03.10 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 მხ.ფ. "სათამაშო"
13.30 მხ.ფილმი
15.00 მხ.ფ. "პონეტი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ტაქსი"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
22.30 მხ.ფ. "სეიფების მძარცველი"

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამგები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-20 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-20 სერია
10.15, 13.45, 14.45, 16.50, 18.45, 22.05, 23.55, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.15 მხ.ფ. "ფირმა"
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
15.00 მხ. ფილმი "განქორწინება იტალიურად"
17.00, 21.10 დისკავერი
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 21-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 21-ე სერია
18.50 მხ.ფ. "მოსამართლე დრედი" მთ.როლში სილვესტერ სტალონე
22.15 მხ.ფ. "ბერბიჭა" მთ. როლებში კრის ო დონელი, რენე ზელვიგერი
00.40 მხ.ფ. "სახიფათო კავშირები". მთ. როლებში ჯონ მალკოვიჩი, გლენ კლოუზი, უმა ტურმანი

აჭარის ტელევიზია

03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ისტორიული ფილმი "ირემზე მონადირე"
11.05 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული ფილმი "სამკაული ჩემი სატრფოსათვის"
13.25 თრილერი "მკვლელები"
16.15 მულტფილმი "მდიდარი ძაღლები"
17.35 მიუზიკლი "ჩემი მშვენიერი ლედი"მე-2 სერია
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 მხატვრული ფილმი "აქ მდინარე მოედინება"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 მხატვრული ფილმი "44-ის აგვისტოში"
03.30 თრილერი "ბოტი"

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "გედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.35 მოკლედ... სპორტი
10.40 "ავტოტრეკინგი" (წლის საუკეთესო გადაცემა)
11.30 მულტსერიალი
11.50 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.10 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.15 "სახლიდან გაუსვლელად"
12.45 მუსიკალური ტაიმაუტი
13.10 დისნეი და მისი მეგობრები
13.30 "სახლიდან გაუსვლელად"
14.10 სპორტი
14.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.25 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.45 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
20.50 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.10 მოკლედ... სპორტი
21.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.30 "სახლიდან გაუსვლელად"
22.00 ფეხბურთი.-"ოთხთა ტურნირი"-"ბავარია"-"მილანი"
00.00 პრესის მიმოხილვა
00.10 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "ტაქსი-2".
02.20 "სახლიდან გაუსვლელად"
02.50 პრესის მიმოხილვა

ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15 "Шутка за шуткой"
11.10 "Знатоки" возвращаются. Дело№2. "ВАШЕ ПОДЛИННОЕ ИМЯ"
13.15 Сериал «ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО «ЛУННЫЙ СВЕТ»
14.15 "Народ против"
15.05 х.ф. "ВОЛШЕБНАЯ СИЛА ИСКУССТВА"
16.20 "Кумиры"
16.50 "ТЕНИ ИЗЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ". 1-я серия
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
19.20 Сериал "семейные узы"
20.15 х.ф. "КОЛЬЕ ШАРЛОТТЫ"
22.00 Время.
23.40 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА"
01.00 Ночное "Время"
01.15 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.05 "ЧЕЛОВЕК НЕОТКУДА"

РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь"
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Колоссальное хозяйство
09.30 Вести. Дежурная часть
10.10 Диалоги о животных
11.00 х.ф. "ЦЫГАН"
12.20 "КАМЕНСКАЯ"
13.25 "Что хочет женщина"
14.30 Сериал "ГРОСС ПОЙНТ"
15.25 Лучшие матчи чемпионата мира по футболу
17.30 Сериал "ДРУЗЬЯ-5"
18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ"
20.00 х.ф."ВОРОВКА"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Вести-Москва
21.55 "КАМЕНСКАЯ"
23.00 х.ф."АХИЛЛЕСОВА ПЯТА".
00.00 Вести - Подробности
00.30 Легкая атлетика. Чемпионат Европы.
02.00 х.ф."БРОДЯГА"

НТВ

07.00 "СЕГОДНЯ УТРОМ"
09.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: БЕЗ СВИДЕТЕЛЕЙ"
10.55 Прогноз погоды на завтра
11.00, 13.00, 15.00,17.00, 20.00, 23.00 СЕГОДНЯ
11.20 "ВНИМАННИЕ: РОЗЫСК!" "Убийца первой гильдии"
12.10 "РАСТИТЕЛЬНАЯ ЖИЗНЬ" с Павлом Лобковым
12.40 Вкусные истории
13.20 Сериал "ПОЮЩИЕ В ТЕРНОВНИКЕ. ПРОПУЩЕННЫЕ ГОДЫ".
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня: "ИДЕАЛЬНЫЙ МУЖ"
16.25 "КРИМИНАЛЬНАЯ РОССИЯ : БАНДА НЕУДАЧНИКОВ".
17.30 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
18.35 "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ" боевик режиссера Джона Ву
19.40 "КРИМИНАЛ"
20.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ШЛА САША ПО ШОССЕ..."
21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
23.35 "ТРОЕ" боевик. США
00.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ДАМА С СОБАКОЙ"
01.35 "О, СЧАСТЛИВЧИК!" Азартная игра
02.05 "ПОКУШЕНИЕ НА ТИРАНА" триллер. США.

TV პროგრამები მოგვაწოდა საგაზეთო "ინფორმაციამ"

უფასო მკურნალობა

ფირმა "სალხინო" აგვისტოს თვეში ჩაუტარებს უფასო მკურნალობას მშობიარეობის შემდეგ გართულებული მასტიტებით და აგრეთვე მასტოპათიებით დაავადებულებს. საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფები მოთავსდებიან კლინიკებში და ჩაუტარდებათ უფასო გამოკვლევა.

მისამართი:
აღმაშენებლის 115.
ტელ. 959060
მიღება ყოველ დღე 11.00-17.00
შაბათ-კვირის გარდა.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.